ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 11 – 12 აგვისტო, 2018 №189 (7734) ფასი: 60 თეთრი

## „სასამართლო სისტემა თავზე გვენგრევა!“

გვ.2



ლია მუხაშავრია: „ამ ნანგრევებში მოყვება თეა წულუკიანი“

# რა მოსთხოვა სალომე ზურაბიშვილმა ივანიშვილს პრეზიდენტის კანდიდატურის დაყენების სანაცვლოდ



გვ.3

გიგლა ბარამიძე: „ზურაბიშვილი საარჩევნო კამპანიას ორი უდიდესი ტყუილით იწყებს“





გვ.5

## „რუსებმა კოდორის დაბომბვა 2008 წლის 8 აგვისტოს დაიწყეს, გაეროს დამკვირვებლების გასვლიდან 2 საათში“

## გია ფეიქრიშვილის მკვლელმა მოკლულის ცოლი გაიტაცა და დიდუბის მეტროსთან ჩამოაგდო — მკვლელობის ახალი დეტალები

გვ.7




## მირიან მირიანაშვილი: „ივანიშვილს ამერიკის პერსონალური სანქციები ემუქრება“

გვ.4

„ქართული ოცნების“ საცირკო წარმოდგენას დასასრული არ უჩანს“



### სამართალი

გვ.7

„სროლის შემდეგ დავინახე ქუთათელაძის ოფისიდან გამოსული გიორგი ჭანტურია, რომელსაც მარჯვენა ხელში ეჭირა იარაღი“



გიორგი ჭანტურიას პატიმრობა შეეფარდა

## ჩატაევის საქმეზე ძებნილი რუსლან შავაძე ბათუმში დააკავეს





გვ.2

## ლევან ხაბეიშვილი: „თბილისის საკრებულო მინისტრებსა და დეპუტატებს ხალხის ხარჯზე ძღვენს უკეთებს“

### ეკონომიკა

გვ.6



## „თურქეთსა და რუსეთთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი კიდევ უფრო გაიზრდება“

## კანადელი ბიზნესმენი ბახმაროში კოტეჯების აშენებას გეგმავს





## რამდენიმე მოქალაქეს უძრავი ქონება იძულების წესით ჩამოერთმევა

ISSN 1987-9385
9 771987 938006

2 „რიონმა დამბა გაარღვია, მოსახლეობა საშიშროების წინაშეა“

3 რაულ ხაჯიმბამ ვლადიმერ პუტინი და დიმიტრი მედვედევი დაპატიჟა

5 გიორგი ვაშაძე ცესკო-ს: „რასაც თქვენ აპირებთ ამ არჩევნებზე, არ გაგივათ, ბატონებო!“

6 2018 წლის 7 თვეში საქართველოს საჰაერო სივრცეში 86.356 ინსტრუმენტული ფრენა შესრულდა

# „სასამართლო სისტემა თავზე გვენგრევა!“

## ლია მუხაშავრია: „ამ ნანგრევებში მოყვება თეა წულუკიანი“

ნათია ხურცილავა

**ადამიანის უფლებათა დამცველი, იურისტი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან" ინტერვიუში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის პროცესსა და მის მნიშვნელობაზე საუბრობს.**

***— ქალბატონო ლია, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ თეა წულუკიანი ცდილობს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატის შერჩევის პროცესი შეაფერხოს. რამდენად შესაძლებელია, მართლაც ასე მოხდეს და ამ პროცესში ჩაერიოს წულუკიანი, სანამ პარლამენტამდე მივა საკითხი?***

— უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია. ეს არის ის საკითხი, სადაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციის, არამედ მთლიანად საზოგადოების, პროფესიული წრეების ჩართულობას, რადგან ყველამ კარგად იცის, რა მდგომარეობაშია სასამართლო სისტემა და მას აუცილებლად სჭირდება სწრაფად შველა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს სასამართლო სისტემა თავზე ჩამოგვენგრევა და ამ ნანგრევებში მოყვება ყველა ერთნაირად, მათ შორის ქალბატონი წულუკიანიც.

წინა შემთხვევაში, ვგულისხმობ ნინი გვენეტაძის შერჩევის პროცესს, ძალიან გამჭვირვალე პროცედურით მოხდა მისი შერჩევა. დღეს, როდესაც ანა ნაცვლიშვილი ამ განცხადებას აკეთებს, მე ვფიქრობ, რომ მას აქვს ამის საფუძველი და უნდა ვენდოთ მას.

როგორც ჩანს, გამჭვირვალე პროცესის პარალელურად ან შეიძლება ამ პროცესზე უფრო მნიშვნელოვანი იყოს ის კულუარული პროცესები, რომლის შედეგებსაც ხედავს ხშირად საზოგადოება და რომელსაც ვიმკით შემდეგ.

***— ამის მაგალითი შეიძლება იყოს მთავარი პროკურორის დანიშვნის საკითხი?***

— რა თქმა უნდა, ან თავად ნინო გვენეტაძის გადადგომის საკითხი, რომელიც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იყო. წულუკიანი კულუარულ საქმიანობასა და თავისი ზრახვების განხორციელებაში კარგად არის დახელოვნებული, ამიტომ ანა ნაცვლიშვილს, როგორც ჩანს, აქვს საფუძველი, ეს განცხადება გააკეთოს.

წულუკიანი, რომელმაც სამი პრემიერ-მინისტრი და თავისი უამრავი მინისტრი კოლეგა მოინელა, დღეს უფრო გამლიერებული პოზიციებით არის



წარმოდგენილი ახალ მინისტრთა კაბინეტში. ამიტომ ეს განცხადება ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.

***— თეა წულუკიანმა პრეზიდენტ მარგველაშვილს მოუწოდა შეაფასოს, ნინო გვენეტაძე რამდენად იყო სწორად შერჩეული კანდიდატი. შეიძლება, ამ მოწოდების ქვეტექსტი იყოს, პრეზიდენტი გვენეტაძის შემთხვევაში შეცდა და რა გარანტიაა, რომ ამჯერადაც არ შეცდებაო?***

— ეს განცხადება მართლაც შეიძლება იყოს აღქმული, როგორც ხელის შეშლა ამ პროცესისთვის. კი მაგრამ, თავად თეა წულუკიანი რატომ არ აფასებს იმ გარემოებას, რომ მის მიერ შერჩეულმა და შემდეგ უკვე პარლამენტისთვის წარდგენილმა ვერც ერთმა მთავარმა პროკურორმა ვერ ამოწურა თავისი ვადა? მთავარი პროკურორის შერჩევა და დანიშვნა იუსტიციის მინისტრის პირდაპირი პასუხისმგებლობაა. რასაკვირველია, აქ პოლიტიკური პასუხისმგებლობა იგულისხმება. თუნდაც ბოლო შემთხვევა რატომ არ გააანალიზა და შეაფასა მინისტრმა წულუკიანმა, რომელსაც ლამის მთელი მთავრობის გადადგომა და ის პროცესები მოჰყვა ქვეყანაში, რომელიც ყველას კარგად გვახსოვს.

საინტერესოა, სამივე მთავარმა პროკურორმა რატომ დაამთავრა თავისი საქმიანობა ამ მეტად მნიშვნელოვან პოზიციაზე ასე სკანდალურად?! ეს, იცით, რას ჰგავს? — სხვის თვალში ბეწვის დანახვასა და საკუთარ თვალში დირის ვერაღმოჩენას.

***— რამდენად ელოდებით, რომ პარლამენტი პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატს არ ჩააგდებს და კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედებას არ დაელოდება?***

— მარგველაშვილს უნდა ვთხოვოთ, რაც შეიძლება ყველა შესაძლებლობა გამოიყენოს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ ვადაში, რომელიც მას დარჩა, რათა ეს პროცესი დაჩქარდეს.

ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნებია, წინასაარჩევნო კამპანია დაწყებულია და ახლა ყველას ყურადღება აქეთ არის მიმართული, ამიტომ საჭიროა, ეს პროცესი, რომელიც მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, საზოგადოების ყურადღების მიღმა არ დარჩეს და პრეზიდენტი მარგველაშვილი ვადებში ჩაეტიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს პროცესი იანვრამდე გადაიწევს არჩევნების სავარაუდო მეორე ტურის გათვალისწინებით, კონსტიტუციის ახალი რედაქცია კი ახალი პრეზიდენტის ფიცის დადებამდე ვერ ამოქმედდება. ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტის ეს პრეროგატივა უკვე ყველასთვის ცნობილი და ყველასგან გაკიცხული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელში გადადის. ამის შემდეგ რას უნდა ველოდოთ, ალბათ, დამატებით განმარტებებს აღარ საჭიროებს.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზეა ყურადღება გასამახვილებელი: უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში სამი მოსამართლიდან ორი დარჩა, რადგან ნინო გვენეტაძე წავიდა, რომელიც ამ პალატის წევრი იყო. შესაბამისად, დროულად უნდა მოხდეს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევა, არა მხოლოდ თავმჯდომარის, პარლამენტმა უნდა აირჩიოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი მოსამართლეები, რომ სისხლის სამართლის პალატაში სრულად იყვნენ წარმოდგენილი მოსამართლეები. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმეების განხილვა ველარ მოხდება და ეს იქნება სრული კოლაფსი.

***— ფიქრობთ, მარგველაშვილის შერჩეული კანდიდატურა გავა? შეიძლება, ხელისუფლება გონივრულ გადაწყვეტილებამდე მივიდა?***

— თუ მართლაც გამჭვირვალე პროცედურებით, ყველასთვის მისაღები და კარგი კანდიდატურა იქნება შერჩეული და პარლამენტი მაინც ჩააგდებს ამ კანდიდატურას, ეს უკვე ღია სიგნალი იქნება ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებისთვის. ეს უკვე იქნება პოლიტიკური ფასი, მით უფრო, ამ არჩევნების წინ. მერე რა, რომ ხელისუფლება ამბობს, კანდიდატი არ მეყოლება ამ არჩევნებზეო.

# ლევან ხაბეიშვილი: „თბილისის საკრებულო მინისტრებსა და დეპუტატებს ხალხის ხარჯზე ძღვენს უკეთებს“

შორენა მარსაგიშვილი



**10 აგვისტოს დედაქალაქის საკრებულოში ხმაური იყო. ოპოზიციის მტკიცებით, ხალხის რჩეულები მინისტრებისა და პარლამენტის წევრების მიწის ნაკვეთებზე ზონალურ ცვლილებებს განიხილავდნენ.**

დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“ მმართველ პარტიას ახალ პრეტენზიებს უყენებს. დეპუტატებმა თბილისში, ილია ჭავჭავაძის 80 ნომერში მდებარე მიწის ნაკვეთისთვის სტატუსის ცვლილება გააპროტესტეს.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ხაბეიშვილის მტკიცებით, ზონალური ცვლილება ინფრასტრუქტურის მინისტრის ოჯახის სასარგებლოდ ხდება, რადგან ამბობს, რომ ეს ტერიტორია მაია ცქიტიშვილის მეუღლის საკუთრებაა.

— ჭავჭავაძის №80-ში საშუალებას რომ აძლევენ, ზონალური ცვლილება მოხდეს მაია ცქიტიშვილის ოჯახის წევრებისთვის, გამონაკლისს რატომ უშვებენ, როცა 500 კვ მაინც უნდა იყოს. თუ რამე უნდათ, რომ შეიცვალოს, ამ წესს ვერ აკმაყოფილებს. უკაცრავად, მაგრამ ოდესმე უნდა დამთავრდეს ამ ქალაქში მაღალი თანამდებობის პირებისთვის ასეთი ძღვენის გაკეთება თბილისელების ხარჯზე, — განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა.

ოპოზიციის ბრალდებას სასწრაფო წესით გამოეხმაურა მმართველი პარტია. ისინი ოპოზიციის ბრალდებას აბსურდულს უწოდებენ.

— არ ვიცი, ეს მიწა ვისია. ეს არის ოპოზიციის ნათქვამი, რომ არის კონკრეტული ადამიანის, — განაცხადა თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბექა დავითულიანმა.

ბექა დავითულიანს განმარტებების გაკეთება სხვა თემაზეც მოუხდა. საკრებულოს სხდომაზე ოპოზიციამ განაცხადა, რომ დიღმის ტყე-პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთს ზონის სტატუსი ეცვლება და იქ მშენებლობა იგეგმება.

ბექა დავითულიანმა აღნიშნულ ინფორმაციას სიცრუე უწოდა და განაცხადა, რომ ოპოზიცია მთელი გასული კვირის განმავლობაში ტყუილზე აგებულ პროპაგანდას ეწეოდა.

მისი თქმით, საუბარია „კია მოტორსის“ ცენტრის ტერიტორიაზე ავტომობილების ცენტრის ნაცვლად მრავალფუნქციური კომპლექსის — „ორანჟერეის“ მოწყობაზე და არანაირი რეკრეაციის ხელყოფა არ ხდება.

— წლების წინ აღმაშენებლის ხეივანში აშენებულ „კია მოტორსის“ შენობას ფუნქცია ეცვლება და მის ადგილას საგამოფენო მრავალფუნქციური ცენტრის მოწყობა იგეგმება. შესაბამისად, ოპოზიცია ცრუობს, როდესაც ამბობს, რომ დიღმის ტყე-პარკში მშენებლობა დაიწყება. ტყე-პარკის ტერიტორია აქ არაფერ შუაშია, — განაცხადა ბექა დავითულიანმა.

„ფრაქცია ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ოპოზიციას სიცრუის ტირაჟირებისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანისგან თავის შეკავება ურჩია.

# „რიონმა დამბა გაარღვია, მოსახლეობა საშიშროების წინაშეა“

## სოფელ ჭყვიშს დატბორვა ემუქრება



ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშში ადიდებული რიონის გამო, შესაძლოა, მოსახლეობას პრობლემები შეექმნას.

გიორგი ტაბიძე ფეისბუქის მეშვეობით ადგილობრივ ხელისუფლებასა და პარლამენტის წევრებს მიმართავს და პრობლემით დაინტერესებისკენ მოუწოდებს.

„ჩემი სოფელი დიდი ხიფათის წინაშე დგას, რიონმა დამბა გაარღვია, მოსახლეობა საშიშროების წინაშეა.

წლების წინ გალაკტიონისა და ტიციანის მუზეუმების ტერიტორიას ანალოგიური საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ კომუნისტების, შემდეგ გამსახურდიასა და შევარდნაძის დროს ნაპირსამაგრი სამუშაოები მაღალ დონეზე შესრულდა და მუზეუმის ტერიტორია დღეს მეტნაკლებად დაცულია.

რამდენიმე წელია, რიონმა კალაპოტი კვლავ შეიცვალა. ამის გამომწვევი მიზეზები როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური მოვლენებია.

თავის დროზე მაჟორიტარი გიორგი ლილუაშვილი დაინტერესდა და შეწუხდა ამ თემით, თუმცა მაშინ არ იყო ასეთი სავალალო მდგომარეობა. წელს აპრილში გამართულ შუალედურ არჩევნებზე, მოსახლეობის მოთხოვნით, მაშინდელ კანდიდატებსაც მიმართეს. გიგი უგულავამ უშუალოდ დაათვალიერა პრობლემური ადგილები, პრობლემა მედიითაც გაშუქდა, თუმცა ხელისუფლებისგან გამოხმაურება არ ყოფილა და რიონმა კიდევ 20 მეტრით გადმოიწია.

ეს საკითხი თითქოს იძვრება, მაგრამ მკვდარი წერტილიდან არც ერთ შემთხვევაში დაძრულა, ამიტომაც, თანასოფლელების თხოვნით, პრობლემას საჯაროს ვხდი, თანადგომას ვთხოვთ ყველას, მათ შორის მასმედიას.

სოფლის მოსახლეობა ვარაუდობს, რომ ზამთრისთვის რიონი სამ ადგილს დატბორავს, უარეს შემთხვევაში კი საერთოდ წალეკავს:

პირველი, სადაც უშუალოდ მოსახლეობა ცხოვრობს (მუზეუმის ქვედა ტერიტორია), მეორე, სადაც სახნავ-სათესი მიწები და საძოვრებია (ე.წ. სამარჯანოების ჩათვლით), მესამე, ე.წ. ანძასთან, სადაც მდინარე სოფლის შუაში გაივლის და ორად გაყოფს.

გასაგებია, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას ფინანსურად არ შესწევს უნარი, აღნიშნული პრობლემა გადაწყვიტოს, მაგრამ საკითხის შესაბამის ინსტანციაში მკაცრად დაყენებაში ხელს არავინ უშლის, პირიქით, ეს მათი უშუალო მოვალეობაა.

ენის მოჩლექით საუბრის დრო აღარაა, გადამჭრელი ზომებია მისაღები, ამიტომაც ყველა უნდა ჩაერთოს, პირველ რიგში — საქართველოს მთავრობა, ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ვანის ხელისუფლება, პარლამენტარები — გივი ჭიჭინაძე, პარლამენტის მაჟორიტარი და დეპუტატი ელენე ხოშტარია.

გთხოვთ, გააზიაროთ, საშიშროება რეალურია!!!!“ — წერს გიორგი ტაბიძე ფეისბუქის გვერდზე.

ნიუპოსტი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება — ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რა მოსთხოვა სალომე ზურაბიშვილმა ივანიშვილს პრეზიდენტის კანდიდატურის დაყენების სანაცვლოდ

## გიგლა ბარამიძე: „ზურაბიშვილი საარჩევნო კამპანიას ორი უდიდესი ტყუილით იწყებს“

შორენა მარსაგიშვილი

**რა მოსთხოვა ივანიშვილს სალომე ზურაბიშვილმა, როგორ გადააგდო ის ნაციონალურმა მოძრაობამ, როგორ გავიდა საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზები, რატომ ჩამოჰყავთ მთავრობის გადასახალისებლად ხალხი რუსეთიდან? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ყოფილი პოლიტდევნილი, „დემოკრატიული მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე ესაუბრა.**

**გიგლა ბარამიძე:**

– ყველას გვაქვს ნანახი ამერიკული ფილმი „ჩარლის ანგელოზები“, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება თუ ტოტალურად ივანიშვილის შინა-ყმებად გადაიქცეოდა, ძნელად წარმომედგინა.

9 აგვისტოს ჩვენ მოვისმინეთ ახლადწამოჩიტული პრემიერ-მინისტრის მოწოდება: „რუსეთო, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან გაიყვანე ჯარი“!. მივმართავ ბატონ პრემიერ– მინისტრს, იმისათვის, რომ რუსებმა ჯარი გაიყვანოს, მუშაობაა საჭირო და არა ხალხისთვის თვალებში ნაცრის შეყრა. მალე მეშვიდე წელი დაიწყება, რაც „ოცნება-ბოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა და ამ მიმართულებით თითი თითზე არ დაგიკარებიათ. რუსეთს რომ ხელებს უქნევთ, თავად არა გაქვთ რუსეთში განათლება მიღებული და მანდვე არ გაქვთ ბიზნესები? მთავრობის შესავსებად რუსეთიდან არ ჩამოგყავთ მინისტრები?!

***– არ გჯერათ, რომ ხელისუფლებას მართლა უნდა საქართველოდან რუსული ჯარების გაყვანა?***

– რუსული ჯარების გაყვანა რომ სდომებოდათ, ამ წლების განმავლობაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემების მოსაგვარებლად ერთ ნაბიჯს მაინც გადადგამდნენ. არ მჯერა კიდევ იმიტომ, რომ მმართველი პარტია გამუდმებით ატყუებს ამომრჩეველს.

„ქართული ოცნება-ბოცნების“ სიცრუისადმი მიდრეკილების გამომჟღავნება იყო განცხადება პრეზიდენტობის კანდიდატთან დაკავშირებით. საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარ კანდიდატურას ვერ ასახელებენ და ამას დემოკრატიის გამოვლინებად ასაღებენ.

დემოკრატიულობაზე როცა გაქვთ პრეტენზია, შეფარული გავლენის აგენტივით პრეზიდენტობის კანდიდატი კი არ უნდა მოძებნო და მას დაუჭირო მხარი, არამედ ვადამდელი არჩევნები უნდა დაგენიშნათ და საარჩევნო სისტემა შეგეცვალათ.

ბატონი ბიძინა ივანიშვილის ოჯახის რჩეულის, ბალზაკის ასაკს უკვე გადაცილებული ქალბატონის სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურ-დიპლომატიური ლაფსუსები უკვე გასაოცარია. ამ ქალს უნდა შევარქვათ მე-მე – სამყაროს შექმნიდან დღემდე, თუკი რამე კარგი გაკეთებულა ბედკრულ საქართველოში, ყველაფერს თავად იბრალებს.

სააკაშვილის მიერ 2004 წელს საქართველოში ჩამოყვანილი სალომე ზურაბიშვილი ამბობს, ევროპული საარჩევნო კამპანია მექნებაო. ამ ევროპულ კამპანიას ის ორი უდიდესი ტყუილით იწყებს.

***– რა ტყუილებით?***

– პირველი ის, რომ არის დამოუკიდებელი. ერთი საპარლამენტო არჩევნებზე იყო მთაწმინდის ოლქში დამოუკიდებელი კანდიდატი და მეორე ახლა იქნება. 2016 წელს მთელი სუსი და პოლიცია მის სასარგებლოდ მუშაობდა.

ასევე ტყუილია ის, რომ საქართველოდან რუსული ჯარები მან გაიყვანა. ადამიანი, რომელიც დიპლომატობითა და ევროპულობით ტრაბახობს, ასეთ რაღაცას არ უნდა კადრულობდეს. სადაც მზად იყო, ვანო მერაბიშვილის მოადგილე გამხდარიყო, იქ ასეთი ტყუილებიც არ არის გასაკვირი.

***– როდის შესთავაზა მერაბიშვილმა მოადგილეობა?***

– პირადად მისთვის არ შეუთავაზებია მერაბიშვილს მოადგილეობა, თავად მოინდომა ამ პოსტის დაკავება. მინისტრობიდან რომ გადადგა, ქალბატონი სალომე ოპოზიციაში წავიდა. 2009 წელს ისიც გაერთიანებული ოპოზიციის გვერდით იდგა. ოპოზიციამ მაშინ მძლავრი საპროტესტო ტალღა ააგორა.

მაშინდელი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი შეხვდა ოპოზიციის ლიდერებსა და განაცხადა, რომ მზად იყო, ერთ-ერთი მათგანი თავის მოადგილედ დაენიშნა. ოპოზიციონერმა ლიდერებმა ეს შეთავაზება შეურაცხყოფად მიიღეს და თქვეს, რომ ამ პოსტის დაკავება სამარცხვინო საქციელი იქნებოდა.

მათგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა სალომე ზურაბიშვილმა და დასთანხმდა სისხლიანი ვანო მერაბიშვილის მოადგილეობას.

***– ეს კი დასთანხმდა, მაგრამ იმათ ხომ არ დაუნიშნავთ?***

– ნაცები არც აპირებდნენ შს მინისტრის მოადგილედ ოპოზიციონერის დანიშვნას. შეთავაზება ოპოზიციის გამოსაცდელად გაკეთდა მხოლოდ.

არის ასეთი ქართული ანდაზა – ბავშვს ჰკითხეს, რატომ ტირიო? გამდის და ვტირიო. ასეა ეს ქალიც. ჯერ სააკაშვილის დროს გასდიოდა, რაც უნდოდა და ახლა ივანიშვილის ოჯახთან დაახლოებულს გასდის ყველაფერი.

ამ ეტაპზე თავს შევიკავებ იმ პირობებზე საუბრისგან, რაც მან იმის სანაცვლოდ დააყენა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატად წარადგენდა თავს. სხვათა შორის, ისიც ვიცით, რა მოითხოვა, როცა პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა ამოეწურება.

***– იცით, მაგრამ არ იტყვით.***

– მოვა დრო და ვიტყვი, ახლა ამის თქმა საჭიროდ არ მიმაჩნია. სიმართლე რომ გითხრათ, არც მაინტერესებს. ეს ამბავი იმას მოვაყოლე, რომ ამ ქალს ჯერჯერობით გასდის, რაც უნდა.

– მოდით, რუსული სამხედრო ბაზების გაყვანაზე ვისაუბროთ. როგორ გავიდნენ რუსული ჯარები საქართველოდან და ამაში ზურაბიშვილს საერთოდ არანაირი წვლილი არ შეუტანია, მან ხომ ლავროვთან შეთანხმებას მოაწერა ხელი?

***– არ უარვყოფ, რომ სააკაშვილის მიერ ხელდასხმული საგარეო საქმეთა მინისტრი მონაწილეობდა რუსული ჯარების გაყვანის პროცესის დასრულებაში. თავად პროცესი დიდი ხნის წინ იყო დაწყებული. იმ დროს, როცა ის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა, ეს საკითხი პოლიტიკურად 100%-ით იყო გადაწყვეტილი, ტექნიკურ-ორგანიზაციულად კი – 95%-ით.***

იმისთვის, რომ „ოცნება-ბოცნებისა“ და მათი მხარდაჭერილების ზღაპრები აღარ ვისმინოთ, საქართველოს მოსახლეობას შევახსენებ, როგორ დაიწყო ეს პროცესი.

1999 წლის 17 ნოემბერს სტამბოლში ეუთოს სამიტი ჩატარდა. ამ სამიტის მუშაობაში 38 ქვეყანა მონაწილეობდა. ცალკე მიმდინარეობდა სამიტი და ცალკე იმართებოდა ამ სამიტში მონაწილე ქვეყნების პირველი პირების შეხვედრები.

სამიტზე ერთ-ერთ მთავარ საკითხად განიხილებოდა საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანა. ამ მოლაპარაკებებში თავიდან ბოლომდე იყვნენ ჩართულები აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტი ბილ კლინტონი, თურქეთის პრემიერი დემირელი, ყაზახეთის პრეზიდენტი ნაზარბაევი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი. მოლაპარაკებებში, ბუნებრივია, საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტები – ედუარდ შევარდნაძე და ბორის ელცინიც მონაწილეობდნენ.

იმ სამიტს მეც ვესწრებოდი და კარგად მახსოვს ეს ყველაფერი. იქ იყო საქართველოს მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი. მისი მინისტრობის დროს დაიწყო რუსული ჯარების გაყვანა და ამ ადამიანს ერთხელაც არსად დასცდენია, რუსული ჯარები მე გავიყვანეო.

ამით თავს არც კლინტონი იწონებს. არადა, ეს საკითხი კბილებით გაიტანა და ელცინთან ლამის ხელჩართული ბრძოლა ჰქონდა გამართული.

იმ დროისთვის სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი ვიყავი, მაგრამ შევარდნაძემ კიდევ ერთი თანამდებობა მომცა და გავხდი პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი სომხეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკურ და საზღვრისპირა საკითხებში.

ეს თანამდებობა სპეციალურად შექმნა შევარდნაძემ, რომ როცა ჯავახეთიდან ჯარების გაყვანა დაიწყებოდა, ამ პროცესებში ჩავრთულიყავი.

ახალქალაქის ბაზის გაყვანამდე ახალციხიდან და ბათუმიდან რუსი მესაზღვრეები გავიდნენ. ამ პროცესში აქტიურად ვმონაწილეობდი, იმიტომ, რომ შევარდნაძის სპეცწარმომადგენელი ვიყავი.

***– სტამბოლის სამიტს დავუბრუნდეთ. რუსეთი ასე მარტივად არ დასთანხმდებოდა საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანას.***

– სერიოზული ჭიდაობა წავიდა. რუსეთი თავიდან ბაზების გასაყვანად 10-12 წელს ითხოვდა. მერე ეს ვადა 7-დან 8 წლამდე შემცირდა. ბოლოს დაჩქარდა და 2-3 წელზე დავიდა. როცა სალომე ზურაბიშვილმა სერგეი ლავროვთან შეთანხმებას მოაწერა ხელი, რუსული ჯარების 90% საქართველოდან უკვე გაყვანილი იყო.

***– რუსი მესაზღვრეების გაყვანა როგორ მოხდა?***

– 1998 წლის აგვისტოში გადაწყდა, რომ მომდევნო წელს უნდა დაწყებულიყო სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან რუსი მესაზღვრეების გასვლა. გადაწყდა, რომ ისინი ეტაპობრივად გადმოგვაბარებდნენ 210-კილომეტრიან საზღვრის მონაკვეთს. ეს რეგიონი თურქეთსა და სომხეთს ესაზღვრება.

ახალციხეში განთავსებული იყო მესაზღვრეების 38-ე ბაზა, რომელსაც ეთნიკური ქართველი, მაგრამ რუსეთის მოქალაქე ლევან კამკამიძე ხელმძღვანელობდა. პოლკოვნიკი კამკამიძე ძალიან ღირსეული ადამიანია.

პოლკოვნიკი კამკამიძის, თქვენი მონა-მორჩილისა და ცხონებული ვალერი ჩხეიძის თავდადების შედეგად რუსი მესაზღვრეები ყოველგვარი გართულებების გარეშე გავიდნენ.

რუსებს ქართველი მესაზღვრეები ჩაენაცვლნენ. ეს ისტორიული ფაქტი იყო, რადგან მე-16 საუკუნის შემდეგ იქ ქართველი მესაზღვრეები არ მდგარან.

***– ასე მარტივად გადაიბარეთ საზღვარი?***

– რაღაც პრობლემები შეიქმნა, მაგრამ უმტკივნეულოდ მოვაგვარეთ. ეს ქალბატონი სალომეს ჩარევის გარეშე მოვახერხეთ. მაშინ მისი არსებობის შესახებაც კი არაფერი ვიცოდით.

ახალციხის გარდა, რუს მესაზღვრეებს ბათუმშიც ჰქონდათ ბაზა. ეს ბაზაც უპრობლემოდ გაიყვანეს. 2000 წლის დასაწყისისთვის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რუსი მესაზღვრეები აღარ იყვნენ.

***– რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ბაზების გაყვანის პროცესი როგორი იყო?***

– ვაზიანიდან და ბათუმიდან როგორ მოხდა მათი გაყვანა, ამაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით. ახალქალაქის ბაზაზე დეტალურად შემიძლია გესაუბროთ. იქ რუსებს ძალიან მძლავრი ბაზა ჰქონდათ. საუბარია 62-ე დივიზიის ბაზაზე. ამ ბაზის 99% 2000 წლის დასაწყისში უკვე გასული იყო.

ამ ბაზის გაყვანის პროცესში, როგორც პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი, ისე ვმონაწილეობდი. ჩემთან ერთად იმყოფებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ორი ოფიცერი.



ბაზის გაყვანა სპეციალური გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა. გეგმაში გვეწერა, დღეში რამდენი ჯარისკაცი უნდა გასულიყო ახალქალაქის ბაზიდან.

ამის პარალელურად აქტიური მუშაობა მიდიოდა ადგილობრივ მოსახლეობასთან. პროცესის დასაწყისში მათთან ძალიან სერიოზული პრობლემები იყო.

***– რა პრობლემები?***

– ჯავახეთში მცხოვრები სომხების ნაწილი რუსულ ბაზაზე იყო დასაქმებული. ისინი რუსული ჯარის გასვლას ეწინააღმდეგებოდნენ. პრობლემები შეიქმნა, როცა იქ ქართველი სამხედროები შეგვყავდა. ამის გამო პროცესი დროებით შეჩერდა. ადგილობრივმა მოსახლეობამ ქართულ ჯარს ჩასაფრება მოუწყო. ეს საკითხი მალევე მოგვარდა და რუსი სამხედროების ადგილი ქართველებმა დაიკავეს.

რუსული სამხედრო ბაზიდან ჩემი ხელით ჩამოვხსენი რუსული დროშა და ქართული სახელმწიფო დროშა აღვმართე.

ახლა იმასაც მოგახსენებთ, რა გავიყვანეთ სალომეს საქართველოში ჩამოსვლამდე. ახალქალაქიდან გავიყვანეთ 2 მოტომსროლელი პოლკი, 1 საარტილერიო პოლკი, 1 კავშირგაბმულობის ბატალიონი, 1 დაზვერვის ბატალიონი, ტანკსაწინააღმდეგო დივიზია. სულ 3.500 კაცი.

გარდა ამისა, გავიყვანეთ სამხედრო ტექნიკა, კერძოდ: 50 ტანკი, 90 ჯავშანმანქანა, 62 საარტილერიო ქვემეხი. ასობით ტრაილერით გატანილ იქნა ტყვია-წამალი. გატანილ იქნა ათასობით ავტომატი და ტყვიამფრქვევი.

***– ეს ყველაფერი გიუმრის მიმართულებით გავიდა?***

– იქ წავიდა. სომხეთის საზღვრამდე მივაცილებდით ცოცხალ ძალასა და ტექნიკას და იქ ხდებოდა რუსებისთვის გადაბარება.

2000 წელს გენერალმა ზოლოტოვმა ახალქალაქში სახალხო მიტინგზე ოფიციალურად გადმოგვცა სამხედრო ბაზის გასაღები. ახალქალაქის მერიას გადაეცა ბაზის საცხოვრებელი კომპლექსი. რუსებმა გადმოგვცეს საავადმყოფოც.

ეს პროცესი 2001 წელს დასრულდა. 2004 წელს მიხეილ სააკაშვილმა დადგა სპექტაკლი და განაცხადა, ახალქალაქიდან ბაზა გავიყვანეო. არადა, იმ დროისთვის ბაზაზე მხოლოდ ერთი დაფეხვილი სამხიდიანი კამაზი იყო დარჩენილი.

ის კამაზი წამოიყვანეს და ნაცმოძრაობასთან დაახლოებული ტელევიზია მთელი დღე აშუქებდა მის გადაადგილებას. სანამ ლარსამდე ჩააღწევდა, ეს მანქანა გზაში 5-ჯერ მაინც გაფუჭდა.

***– ხალხმა რატომ დაიჯერა, რომ სააკაშვილმა გაიყვანა ეს ბაზა?***

– იმიტომ, რომ თავის დროზე ჯავახეთიდან რუსული ბაზის გაყვანა ქართულ მედიას არ გაუშუქებია. ტელევიზიებს მაშინ მოქკავშირის ერთი ფრთა აკონტროლებდა. მათ აკრძალეს ამ თემის გაშუქება.

ამის გამო უშიშროების საბჭოს მდივან ნუგზარ საჯაიასაც კი დავურეკე. მან მითხრა, რომ ამ საკითხს ვერ გადაწყვეტდა და მირჩია, მოქკავშირის ახალგაზრდა ლიდერებს დავკავშირებოდი. მათთან კარგი ურთიერთობა არ მქონდა და არ დამირეკავს. ინგა გრიგოლიას ვთხოვე, რომ ეს თემა გაეშუქებინა. მას დიდი სიუჟეტის გაკეთების უფლება არ მისცეს. ძალიან მოკლედ აჩვენეს, როგორ მიგრუხუნებდა რუსული სამხედრო მანქანა ჯავახეთის ნისლიან გზაზე.

ასე მიიწერა სააკაშვილმა საქართველოდან რუსული ჯარის გაყვანა. ახლა ამას იბრალებს ზურაბიშვილი. არც ერთი მათგანი არ იხსენებს იმას, თუ რა სამუშაო შეასრულა ამერიკულმა მხარემ. კოლინ პაუელი ლამის ყოველკვირა ატარებდა თათბირს. აქ ჩამოდიოდნენ თეთრი სახლის წარმომადგენლები, აკონტროლებდნენ, როგორ ასრულებდა რუსეთი სტამბოლის შეთანხმებას.

# რაულ ხაჯიმბამ ვლადიმერ პუტინი და დიმიტრი მედვედევი დააპატიჟა



ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი ე.წ. დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-10 წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებაზე მიიწვია. ამის შესახებ ხაჯიმბამ „იზვესტიას“ აუწყა.

– ქვეყნის ლიდერებთან, რომლებმაც გვაღიარეს, გაგზავნილია მოსაწვევები. კერძოდ, შესაბამისი წერილები გაგზავნილია რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან, პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევთან, ასევე რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის რიგ წარმომადგენელთან, – აღნიშნა ხაჯიმბამ.

მისივე ინფორმაციით, დაპატიჟებული არიან რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები, რომლებიც „აქტიურად ეხმარებოდნენ აფხაზეთს სამხედრო მოქმედებების პერიოდში, უწევდნენ ჰუმანიტარულ დახმარებას“.

კრემლსა და რუსეთის მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახურს არ დაუანონსებია პუტინისა და მედვედევის ვიზიტი ოკუპირებულ აფხაზეთში.

7 აგვისტოს გახდა ცნობილი, რომ ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო ლიდერმა ანატოლი ბიბილოვმა ე.წ. დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-10 წლისთავთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებაზე დაპატიჟა პუტინი, მედვედევი, რუსეთის პატრიარქი კირილე, ასევე ვენესუელის პრეზიდენტი ნიკოლას მადურო და სირიის ლიდერი ბაშარ ასადი.

**მედიანიუსი**

# მირიან მირიანაშვილი: „ივანიშვილს ამერიკის პერსონალური სანქციები ემუქრება“

## „ქართული ოცნების“ საცირკო წარმოდგენას დასასრული არ უჩანს“

მარიამ მჭედლიშვილი

საპრეზიდენტო არჩევნებსა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერს, ყოფილ დეპუტატ მირიან მირიანაშვილს.

***– თქვენი ინფორმაციით, აშშ არ გაურიგდა რუსეთს საქართველოს მომავალი პრეზიდენტის კანდიდატურის თაობაზე. ისიც აღნიშნეთ, რომ სალომე ზურაბიშვილი ის კანდიდატურაა, რომელსაც, სხვებისაგან განსხვავებით, დასავლეთი უნდობლად არ მოეკიდებოდა. ბოლო დროს სალომე ზურაბიშვილის გარშემო საქართველოში სკანდალები აგორდა, „ქართული ოცნება“ კი ოფიციალურად არ ადასტურებს, რომ მას უჭერს მხარს.***

– სალომე ზურაბიშვილი უნაკლო და ყველაზე კომპეტენტური ფიგურა არ არის, მაგრამ ის რჩება კანდიდატურად, რომელსაც დასავლეთი ნორმალურად იღებს. მისი განცხადებები ბევრისთვის გამაღიზიანებელია, მაგრამ ამით სიტუაცია არ იცვლება. ზურაბიშვილი არ არის არანაირად დაკავშირებული რუსეთთან. ის მოიაზრება ლიდერად, რომელიც საქართველოშიც არავისზე იქნება დამოკიდებული. რაც შეეხება იმას, რაც „ქართულ ოცნებაში“ ხდება, ამ საცირკო წარმოდგენას დასასრული არ უჩანს.

***– მმართველი გუნდის ზოგიერთი წარმომადგენლის გამოსვლები სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ თვალთმაქცურია?***

– „ქართული ოცნების“ ამ წევრებს არავინ ეკითხება, ვინ იქნება პრეზიდენტობის რეალური კანდიდატი. ისინი არანაირ პროცესებში არ მონაწილეობენ. ასეთების იმიტირებული სცენები გაიწელა და მომაბეზრებელი გახდა.

***– ექსპერტები ისევ ურჩევენ ბიძინა ივანიშვილს საკუთარი კანდიდატურის დაყენებასა და სალომე ზურაბიშვილის მხარდაჭერაზე უარის თქმას.***

– ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა შანსი, გამხდარიყო პრეზიდენტი. მან ეს შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა. ადრეც მითქვამს, რომ ამისათვის მას უნდა შეესრულებინა ერთი პირობა – ხელი შეეწყო საქართველოს პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციისათვის. იგულისხმება რუსეთის როლის შესუსტება აშშ-ის სასარგებლოდ. რუსეთი თანახმაა, საქართველოში უმთავრესი პოზიციები დათმოს. დაახლოებით თვე-ნახევრის წინ სიტუაციას ნათელი მოეფინა: საქართველოში აშშ-ის პოზიციების გამყარების პროცესი დაიწყო.

***– ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს მოსკოვი აღარ განკარგავს?***

– ამასაც ნიშნავს. საქართველოს, დიდი ალბათობით, ეყოლება დასავლეთის ნდობით აღჭურვილი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი. ის მიუღებელი არ იქნება სხვა სახელმწიფოების, მათ შორის, რუსეთისთვისაც. გიორგი მარგველაშვილს, ასევე გიორგი კვირიკაშვილს დასავლეთში ხვდებოდნენ, მაგრამ მათ დამოუკიდებელ პირებად არ მიიჩნევდნენ. ორივე მათგანს ჰქონდა ბიძინა ივანიშვილზე დამოკიდებული ფიგურის იმიჯი.

***– გიორგი მარგველაშვილსაც ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირებენ?***

– გარეგნული კინკლაობა არ ნიშნავს, რომ მარგველაშვილი ივანიშვილს ებრძვის ან პირიქით. არსებით საკითხებში მარგველაშვილი არასდროს წასულა ივანიშვილის წინააღმდეგ. დასავლეთში არ დაუჯერებიათ, რომ მარგველაშვილი დამოუკიდებელი და გავლენიანი ლიდერია. კვირიკაშვილსაც ასე უყურებდნენ.

***– სამხრეთ კავკასიაში რუსეთის როლი მცირდება?***

– რუსეთი კუთხეშია მიმწყვდეული არა მარტო კავკასიაში. აშშ-ის გეგმით, ძლიერი დარტყმები უნდა მიიტანონ რუსეთზე, ირანზე, ასევე, თურქეთზე.

***– ეს სამეული ერთმანეთს სირიის საკითხზე დაუახლოვდა.***

– სამივე პრობლემას უქმნის ვაშინგტონს. იმისთვის, რომ ამ სამ სახელმწიფოს ერთმანეთთან სახმელეთო კომუნიკაცია არ ჰქონოდა, დაჩქარდა ძვრები სომხეთსა და საქართველოში. რუსეთმა სომხეთში უდიდესი მარცხი განიცადა. დადგა საქართველოს ჯერი.

***– რომელსაც პროდასავლური იმიჯი აქვს.***

– სომხეთი უფრო მეტად იყო რუსეთზე დამოკიდებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველო რუსეთის გავლენისგან თავისუფალი სახელმწიფოა. ამ გავლენისგან გათავისუფლებას ახლა ვიწყებთ, რუსეთს კი წინ ეკონომიკური კოლაფსი ელოდება.

***– სანქციების გამო?***

– სანქციები რუსეთის წინააღმდეგ მომავალში კიდევ უფრო გამკაცრდება. მალე აშშ-ის კონგრესში არჩევნებია დანიშნული. ახალი კონგრესი რუსეთის წინააღმდეგ უფრო რადიკალური იქნება. ამ მხრივ განსაკუთრებით მეორე ადგილზე გასული პარტია იაქტიურებს და უფრო გაამწვავებს რუსეთის მხრიდან აშშ-ის არჩევნებში ჩარევის თემას. თუ რუსეთი ვერ მოიპოვებს ნავთობსა და გაზს, თუ მას ჩამოაშორებენ ვაჭრობის საერთაშორისო სისტემას, ქვეყნის ეკონომიკა მთლიანად დაინგრევა და დადგება ხელფასების გაცემის პრობლემა. საპენსიო ასაკის გაზრდის გამო რუსეთში უკვე მიმდინარეობს საპროტესტო აქციები.

***– არჩევნებს დავუბრუნდეთ. ზურაბიშვილის გამარჯვება გარანტირებული არ არის.***

– არჩევნებზე მოსალოდნელია მეორე ტური სალომე ზურაბიშვილისა და გრიგოლ ვაშაძის მონაწილეობით. ვაშაძის გამარჯვების შანსი მიზერულია.



### „საქართველოში აშშ-ის პოზიციების გამყარების პროცესი დაიწყო“

***– ამ პროცესში პოლიტიკური სპექტრის გადასხვაფერებას უნდა ველოდოთ?***

– ეს გარდაუვალი იქნება. დღემდე საქართველოს პოლიტიკურ სისტემას, პარლამენტითა და მთავრობით დაწყებული, ელექტრონული მედიითა და პარტიებით დამთავრებული, რუსეთი აკონტროლებს. ამ ეტაპზე ამ ყველაფერს ბიძინა ივანიშვილის სახელი ჰქვია.

აშშ-ის ამოცანა საქართველოში რუსეთის კონტროლის საგრძნობლად შესუსტებაა. ეს პროცესი საპრეზიდენტო არჩევნებით იწყება. მნიშვნელობა აქვს კანდიდატურის შერჩევას, საარჩევნო კამპანიასა და შედეგს. არჩევნებზე უნდა გამოჩნდეს, რომ რუსეთი აღარ ახდენს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებით მანიპულირებას. აქამდე არჩევნებს რუსეთი დირიჟორობდა. საპრეზიდენტო არჩევნებს უნდა მოჰყვეს რუსეთის შემდგომი დისტანცირება საქართველოს პოლიტიკური სისტემიდან. თუ არსებული სისტემის დემონტაჟი და კრემლის დისტანცირება არ მოხდა, ამაზე პასუხს მკაცრად აგებს არა მხოლოდ რუსეთი.

***– კერძოდ?***

– კრემლს პასუხს მოსთხოვენ საქართველოს გამოც. ეს შეიძლება იყოს ახლანდელი ყოვლისმომცველი ამერიკული სანქციები რუსეთის წინააღმდეგ, სადაც გაკეთდება ჩანაწერი საქართველოზე ან – მომავალი ახალი სანქციების პაკეტი.

***– საქართველოშიც შეეხება ვინმეს სანქციები?***

– ანტირუსულ სანქციებში შეიძლება ქართველებიც მოყვნენ. საუბარია გავლენიან პოლიტიკურ ფიგურებზე, რომლებიც ხელს არ შეუწყობენ ან დააბრკოლებენ რუსეთის ფაქტობრივ გასვლას საქართველოდან. ასეთი ფიგურების წინააღმდეგ შესაძლო სანქციები მომავალი წლის გაზაფხულიდან შემოვა. ეს ყველაფერი დრამატიზმს სძენს ახლანდელ არჩევნებს. ბიძინა ივანიშვილი სავარაუდო სანქციების შესახებ ინფორმირებულია.

***– ამიტომ დგამს „ქართული ოცნება“ გაუგებარ ნაბიჯებს?***

– ბიძინა ივანიშვილი აშკარად ფრთხილად და მოზომილად იქცევა. მას შეიძლება პერსონალური სანქციები დაემუქროს.

# თბილისის ცენტრალურ უბნებში კომერციულ ფართებზე მოთხოვნა შემცირდა




თბილისის ცენტრალურ უბნებში, შესაძლოა, კომერციული ფართების გაქირავების ფასი შემცირდეს.

როგორც „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას უძრავი ქონების სააგენტოებში აცხადებენ, დედაქალაქში სავაჭრო მოლების გახსნამ თბილისის მთავარ სავაჭრო ქუჩებზე – რუსთაველზე, ჭავჭავაძეზე, პეკინსა და აღმაშენებლის გამზირზე მდებარე კომერციული ფართების ნაწილი დააცარიელა.

ამასთან, როგორც ირკვევა, ამ უბნებში ბოლო ერთი წლის განმავლობაში კომერციული ფართების გაქირავების ფასებმა შედარებით მოიმატა. თუკი გასული წლის ზამთარში კვადრატულის ფასი 50 დოლარამდე მერყეობდა, ახლა საშუალო ფასი 70 დოლარამდეც კი ავიდა.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, ცენტრალურ უბნებში კომერციული ფართების გაქირავების ფასით და, ამასთან, როგორია მოთხოვნა-მიწოდების ტენდენცია.

უძრავი ქონების გაყიდვების საიტის შშ.გე ინფორმაციით, კომერციული ფართების გაქირავების ფასი უბნების მიხედვით განსხვავებულია. მათივე ცნობით, ფართის ქირაობა შედარებით იაფია პეკინზე, ძვირი კი – რუსთაველის გამზირსა და ჭავჭავაძეზე.

რაც შეეხება კონკრეტულ ფასებს, SS.ge-ზე გამოქვეყნებული განცხადებების მიხედვით, პეკინზე კვადრატულის ფასი 10 დოლარიდან იწყება, აღმაშენებელზე – 12 დოლარიდან, ჭავჭავაძესა და რუსთაველზე – 15 დოლარიდან. მაქსიმალური ფასი კი 50 დოლარია.

ამასთან, განცხადებების მიხედვით, ყველაზე მეტი კომერციული ფართი ქირავდება ჭავჭავაძესა (85) და აღმაშენებელზე (40).

SS.ge-ის ინფორმაციით, ზოგადად უბნების მიხედვით ფართების გაქირავების მაქსიმალური და მინიმალური ღირებულება ასეთია: რუსთაველზე მაქსიმალური ფასი 9.170 დოლარი, მინიმალური – 500 დოლარი; აღმაშენებლის გამზირზე მაქსიმალური ფასი – 10.090 დოლარი, მინიმალური – 100 დოლარი; ჭავჭავაძეზე მაქსიმალური ფასი – 17.720 დოლარი, მინიმალური – 120 დოლარი; პეკინზე მაქსიმალური ფასი – 8.000 დოლარი, მინიმალური – 120 დოლარი.

უძრავი ქონების სააგენტო „კიბე.ჯის“ ხელმძღვანელი ნელი გოგუაძე „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ამ უბნებში კომერციული ფართების გაქირავების ფასი საშუალოდ 70 დოლარია, თუმცა მოსალოდნელია ღირებულების შემცირება, რადგან თბილისში გახსნილმა რამდენიმე სავაჭრო მოლმა ცენტრალურ უბნებში არსებულ კომერციულ ფართებზე შესაბამისი ნეგატიური გავლენა იქონია.

– გაქირავების ფასი დამოკიდებულია ადგილსა და ფართზე. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ობიექტი უბნის რა ნაწილშია. მაგალითად, პეკინზე შუა ნაწილში სულ სხვა ფასი აქვს და ამავე ქუჩას ვაჟა-ფშაველას მიმართულებით – სულ სხვა. რუსთაველზე და ჭავჭავაძეზე კვადრატული საშუალოდ 70 დოლარი უნდა იანგარიშოთ, ისევე, როგორც აღმაშენებელზე (ან ოდნავ ნაკლები).

– ვფიქრობ, ამ უბნებში კომერციული ფართების გაქირავების ფასი კლებისკენ წავა, რადგან თუნდაც „გალერი თბილისისა“ და რამდენიმე სავაჭრო ობიექტის გახსნა ძალიან აისახა ამ ტერიტორიაზე არსებული ფართების გაქირავებაზე, იმიტომ, რომ ბრენდული მაღაზიების ნაწილი თბილისი მოლებში გადავიდა. თუმცა, ვერც იმას ვიტყვი, რომ ამ უბნებზე მოთხოვნა არ არის, უბრალოდ, არსებული ფართები ზოგჯერ კლიენტის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, – აცხადებს ნელი გოგუაძე.

ბპნ

# გიორგი ვაშაძე ცესკო-ს: „რასაც თქვენ აპირებთ ამ არჩევნებზე, არ გაგივათ, ბატონებო!“



გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო შტაბის უფროსმა გიორგი ვაშაძემ ცენტრალური საარჩევნო კომისია საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულა.

მისი ინფორმაციით, ცესკო საარჩევნო ოლქების საარჩევნო კომისიის წევრებად ნიშნავს „ქართული ოცნებისა“ და სუს-ის წევრების ახლობლებს.

– ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავისივე პირველივე გადაწყვეტილებებით საარჩევნო ადმინისტრაციაში ტოტალური გაყალბების საარჩევნო მექანიზმის ჩამოყალიბება დაიწყო. მან, ფაქტობრივად, გადააბარა რაიონებში მთლიანად საარჩევნო ადმინისტრაციების ფორმირება „ქართული ოცნების“ შტაბებსა და სუს-ის წარმომადგენლებს.

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციით, რომელიც გუშინ მოვიპოვეთ, დგინდება, რომ 76 ე.წ. დამოუკიდებელი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების ვაკანსიებზე მათ დანიშნეს ყოველგვარი გასაუბრების გარეშე „ქართული ოცნების“ შტაბის წევრების მეუღლეები, ოჯახის წევრები ან სუს-ის მაღალჩინოსნების ოჯახის წევრები ან თვითონ საარჩევნო ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლების მეუღლეები და ოჯახის წევრები.

შემიძლია, რამდენიმე მაგალითი გითხრათ, რომლებიც იყოფა სამ კატეგორიად. პირველი – ესაა „ქართული ოცნების“ პირდაპირ მაღალი თანამდებობის პირების ოჯახის წევრები, მეორე – ესაა ცესკოს თანამშრომლების ოჯახის წევრები და მესამე – ესაა სუს-ის მაღალი თანამდებობის პირების ოჯახის წევრები, რაც, ფაქტობრივად, მიუთითებს, რომ ისინი აპირებენ არჩევნების ტოტალურ გაყალბებას.

მე მინდა, მოვუწოდო ცესკო-ს და ვუთხრა, არც ერთ ხმას არ გაგაყალბებინებთ. ის, რასაც თქვენ აპირებთ ამ არჩევნებზე, არ გაგივათ, ბატონებო და ძალიან გთხოვთ, შესაბამისი რეაგირება მოახდინოთ თითოეულ ფაქტზე, რომელიც ხელთ მაქვს და 76 ოლქიდან თითქმის ყველა ოლქზე ირკვევა, რომ თქვენ გინდათ, გააყალბოთ არჩევნები, – განაცხადა ვაშაძემ.

გიორგი ვაშაძემ ერთ-ერთ მაგალითად მოიყვანა ის, რომ ცესკო-ს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ თელავში საარჩევნო ოლქის დამოუკიდებელ წევრად საკუთარი მაზლისცოლი, ლეილა სიბაშვილი, დანიშნა.

მედიანიუსი

# რუსების 81% ფიქრობს, რომ რუსეთი სწორად მოიქცა, როცა ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობა აღიარა



რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ცენტრის ინფორმაციით, გამოკითხული რუსების 80% მხარს უჭერს ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებას, რაც 2013 წელთან შედარებით 5%-ით გაზრდილია.

ოკუპირებული ცხინვალის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარებას არ ემხრობა გამოკითხულთა 9% (2013 წელს ამ პოზიციაზე რუსების 14% იყო).

გამოკითხულთა 81%-ის აზრით, რუსეთი სწორად მოიქცა, როცა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა (2013 წელს ეს მაჩვენებელი 71%-ს შეადგენდა, 2010 წელს – 76%-ს, ხოლო 2009 წელს – 86%ს). აღნიშნული გამოკითხვა 2018 წლის 6 აგვისტოს ჩატარდა, ცდომილების ზღვარი კი 2.5%-ს არ აღემატება.

მედიანიუსი

გულიკო ბალაძე

# „რუსებმა კოდორის დაბომბვა 2008 წლის 8 აგვისტოს დაიწყეს, გაეროს დამკვირვებლების გასვლიდან 2 საათში“

**2008 წელს აფხაზეთის სახელმწიფო მინისტრი ზემო აფხაზეთის საკითხებში, მევლუდ ჯაჭველიანი, „ახალ თაობას" აგვისტოს ომის პერიოდში კოდორში განვითარებულ მოვლენებზე ესაუბრა.**

***– ბატონო მევლუდ, თქვენ 2008 წელს აფხაზეთის სახელმწიფო მინისტრი ბრძანდებოდით ზემო აფხაზეთის საკითხებში და მომსწრე ხართ იმ მოვლენების, რომლებიც ვითარდებოდა კოდორში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. 10 წლის შემდეგ როგორ აფასებთ მაშინდელ მოვლენებს? კოდორში როდის დაიძაბა ვითარება?***

– 2008 წლის 7 აგვისტოს, ღამის 2 საათიდან, თვითმფრინავებმა გადაფრენა დაიწყეს. ფოთს ბომბავდნენ. 8 აგვისტოს კოდორში იმყოფებოდნენ გაეროს დამკვირვებლები. ჩვენ იქიდან გაეროს დამკვირვებლებს არ ვუშვებდით, მაგრამ გაგვაშვებინეს. გაეროს დამკვირვებლების გასვლიდან 2 საათში, 3 საათზე, თვითმფრინავებმა კოდორის ხეობის დაბომბვა დაიწყეს.

***– 7-ში თუ 8-ში?***

– 7 აგვისტოს ჩვენ არ გვბომბავდნენ, ზემო აფხაზეთში სიმშვიდე იყო.

***– გაეროს წარმომადგენლები რომ მიდიოდნენ, რა თქვეს, რატომ მიდიოდნენ?***

– გაეროს წარმომადგენლებს ჩვენ არ ვუშვებდით. იქ ხალხი შევკრიბე და დამკვირვებლებს არ ვუშვებდით, მაგრამ დაგვირეკეს, გაგვეშვა. გაეროს დამკვირვებლები გავუშვით და პირდაპირ სოხუმისკენ წავიდნენ. საათ-ნახევარი არ იყო გასული, გაიგეს, რომ გაეროს წარმომადგენლები ზემო აფხაზეთის ტერიტორიაზე აღარ იმყოფებოდნენ. იმ დროს იქ გასვენება იყო. მათ გასვენებისთვის შეკრებილი მანქანების პირდაპირი მიმართულებით დაიწყეს სროლა და დაახლოებით 300-400 მეტრში აფეთქდა ჭურვები.

***– ვინ დაგირეკათ, გაეროს წარმომადგენლები გაუშვით, ნუ აყოვნებთო?***

– ახლა არც მახსოვს, მას შემდეგ 10 წელი გავიდა. მთავრობის რომელიღაც წარმომადგენელი იყო, მაგრამ გვარი-სახელი არ მახსოვს.

***– ანუ სიტუაცია იყო ისეთი, უკვე იცოდით, რომ რუსეთი გიტევდათ?***

– ვიცოდით, კოდორის მიმართულებით სამ-სამი თვითმფრინავი შემოდიოდა ყოველ საათ-ნახევარში, ყოველ ორ საათში და ხეობა იბომბებოდა.

***– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, 7 აგვისტოს მოსახლეობა უკვე გამოჰყავდათ.***

– 7 აგვისტოს ვის გამოჰყავდა მოსახლეობა? ჩვენი მოსახლეობის ნაწილი გამოვიდა 8 აგვისტოს, ნაწილი – 9 აგვისტოს. 9 აგვისტოს საღამომდე მთელი მოსახლეობა გამოვიყვანეთ.

***– მოსახლეობის გამოყვანა 7 აგვისტოს არ დაწყებულა?***

– არა. 7 აგვისტოს ჩვენთან მშვიდობიანი სიტუაცია იყო, არაფერი ხდებოდა. თვითმფრინავებს ჩვენ ვუყურებდით ღამით (ტელევიზია ხომ იყო), როგორ ხდებოდა რუსული თვითმფრინავების გადაფრენა ხეობის თავზე და ფოთსა და სენაკს ბომბავდნენ. 8 აგვისტოს, 2-3 საათზე, მასობრივად კოდორის ხეობის დაბომბვა დაიწყეს.

***– ჩემთან ინტერვიუებში რესპონდენტები ამბობდნენ, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და მისი თანმხლები პირები 7 აგვისტოს კოდორისკენ რომ მოემართებოდნენ, გზაში მათ ნახეს, ავტობუსებით იქიდან როგორ გამოჰყავდათ მოსახლეობა. ეს თქვენ არ იცით?***

– ასეთი რამ ვინ გითხრათ? იმ დროს კოდორის ხეობაში თვითონ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია იმყოფებოდა. თემურ მჟავიამ 8-ში თუ 9-ში დატოვა კოდორის ხეობა და აქეთ წამოვიდა.

***– მე ვსაუბრობ იმ მომენტზე, როდესაც თემურ მჟავია თანმხლებ პირებთან ერთად კოდორისკენ მოემართებოდა.***

– თემურ მჟავია კოდორისკენ რომ მოდიოდა, მაშინ კოდორში მშვიდობა იყო.

***– ომის შემდეგ თემურ მჟავიას თანმხლებმა პირებმა ჩემთან ინტერვიუში განაცხადეს, რომ 7 აგვისტოს კოდორისკენ მომავლებმა ნახეს, კოდორიდან მოსახლეობა უკვე გამოჰყავდათ.***

– მე ყველაზე უკეთესად ვიცი, იქ ვინ სად მიდიოდა და როდის მიდიოდა. შეიძლება, რაღაც შეეშალათ. მე იქ ბოლო წუთებამდე ვიყავი, სანამ მოსახლეობისგან კოდორის ხეობა არ დაიცალა. მოხუცი მშობლები მყავდა (ახლა ორივე გარდაცვლილია), კოდორი მოსახლეობისგან რომ დაიცალა და ყველა გამოვიდა, მერე ავედი, ჩემი მშობლები ჩავსვი მანქანაში და ჭუბერში გადმოვიყვანე.



## მევლუდ ჯაჭველიანი: „არ ვიცი, რა შეიარაღება იყო, იქ ჩვენ ერთი ტანკიც არ გვყავდა“



***– თქვენ ბრძანებთ, რომ 8 აგვისტოს, შუადღისას დაიწყო კოდორის დაბომბვა.***

– კი ბატონო.

***– მოსახლეობამ და ჯარმა ისე დატოვა კოდორის ხეობა, ერთი ტყვია არ გაუსვრიათ. დიდი ოდენობით იარაღი დატოვეს კოდორში. თქვენ ამას როგორ აფასებთ? როგორ მოხდა, რომ არავის გაუსვრია, არავის უბრძოლია და კოდორის ხეობა ისე ჩაბარდა?***

– არ ვიცი. სამხედროებთან საქმე კი მქონდა, მაგრამ მაგას მე არავინ მეკითხებოდა. სროლა რომ არ ყოფილა და ავტომატი არავის გაუსვრია, ეს ფაქტია. თუმცა, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, თვითმფრინავებს რომ ესროდნენ.

***– თვითმფრინავებს ვინ ესროდა, მოსახლეობა?***

– მოსახლეობა არა, სამხედროები ესროდნენ.

***– რამდენადაც ვიცი, მჟავია არ აპირებდა კოდორიდან წამოსვლას, მაგრამ შემდეგ მაინც მოხდა მისი ევაკუაცია. თქვენ თვითონ ბრძანება ვისგან მიიღეთ, წამოსულიყავით?***

– თბილისიდან დამირეკა ვიღაც მაღალჩინოსანმა და მითხრა, ხალხი ერთი დღით ჭუბერში გადმოიყვანეთ, მერე ყველაფერი კარგად იქნება და უკან დაგაბრუნებთო. ზუსტად ამაში მოვტყუვდით, არავის არაფერი წამოუღია, ვერავინ ვერაფერი წამოიღო. ჩვენ რომ გვცოდნოდა, მთლიანად ვტოვებდით კოდორის ხეობას, სხვაგვარად მოვიქცეოდით. ადამიანებს ტანსაცმელიც არ წამოუღიათ. საქონელიც არ გადმოურეკავთ. ეგ მაინც არ იყო პრობლემა, საქონელი თავისით მიდის. ჩვენ ყველას გვეგონა, მოსახლეობას ერთი-ორი დღით გავარიდებთ, სიტუაცია რომ დაწყნარდება, უკან დავბრუნდებითო. ამ გაგებით წამოვედით იქიდან. ამიტომ კაციშვილს არაფერი წამოუღია.

***– ე.ი. მთელი ქონება დატოვეს კოდორში.***

– დიახ.

***– კოდორის დაცვა რომ არ განხორციელდა, ამას როგორ აფასებთ? ჯარი გამოიყვანეს და დიდი ოდენობით სამხედრო ტექნიკა რუსებს ჩააბარეს. რუსებმა შემდეგ მოსკოვში საქართველოდან წაღებული სამხედრო ტექნიკის გამოფენა მოაწყვეს და დაგვცინოდნენ.***

– კოდორიდან ტექნიკა რუსეთში არ გასულა.

***– აბა, სად წავიდა?***

– რა ტექნიკა გვყავდა? არტილერია იქ არ იყო.

***– ტყუილია ის ინფორმაცია, რომ კოდორში უახლესი ტიპის ტექნიკა იყო ატანილი, ტყვია-წამალი და ა.შ.?***

– ტყვია-წამალი ნამდვილად იყო და შეიარაღება – ტყვიამფრქვევისა და ავტომატის დონეზე. მძიმე ტექნიკა და არტილერია კოდორში მე არ მინახავს.

***– კოდორის ხეობის დაცვა წლების განმავლობაში ხორციელდებოდა. მანამდე როგორ ხერხდებოდა კოდორის ხეობის დაცვა?***

– რა ვიცი, გენაცვალე, რუსი კოდორის ხეობას კი არა, რომ უნდოდეს, მთელ საქართველოსაც წაიღებს, აზერბაიჯანსაც. კოდორის ხეობას ვერ დაიცავდი იმიტომ, რომ 10 უღელტეხილი შემოდის ჩრდილოეთ კავკასიიდან. შეეძლოთ, ყველა მხრიდან დესანტი გადმოესხათ და შემოსულიყვნენ.

მარტო სოხუმის მხრიდან კი არა, ნაღარი, მარუხის უღელტეხილი სხვა უღელტეხილებიდან შეეძლოთ დესანტის გადმოსხმა და შემოსვლა. ჩრდილოეთ კავკასიიდან, ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან ერთი საათის საცალფეხო გზაა.

კოდორზე რომ ამბობენ, 2008 წლამდე დავიცავითო, კი, მანამდე დავიცავით. მე მესაზღვრე ვიყავი და ყველაფერი ვიცი. დაცვა გამორიცხულია. ყველას უნდა ესმოდეს, რომ რუსს ჩვენ ვერ გავაჩერებდით ვერც კოდორში, ვერც თბილისში, ვერც აზერბაიჯანში და სხვაგან.

***– რუსს ჩვენ ვერ გავაჩერებდით, მაგრამ 12 აგვისტოს რუსი უკვე გააჩერეს ამერიკელებმა და მსოფლიოს სხვა დიდმა სახელმწიფოებმა. საფრანგეთის პრეზიდენტი იყო ჩამოსული და ხელი მოაწერინეს ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად, რუსის ჯარი პირვანდელ პოზიციებზე უნდა დაბრუნებულიყო, ანუ საქართველოს საზღვრებიდან ჯარი უნდა გაეყვანა. თქვენ ბრძანეთ, 10 დღე შეიძლებოდა გაგვეძლოო. 10 დღე რომ გაგეძლოთ, დარწმუნებული იყავით, კოდორი დღეს ჩვენი იქნებოდა.***

– ახლა მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ რუსები ხელს არ მოაწერდნენ ხელშეკრულებას, სანამ კოდორი ქართველი მოსახლეობისაგან არ დაიცლებოდა.

***– თქვენ თქვით, კოდორი 8-9 აგვისტოს დაიცალაო.***

– 8-9 აგვისტოს კოდორი მოსახლეობისგან დაიცალა, თორემ სამხედრო დანაყოფებმა კოდორი მოსახლეობის გაყვანიდან დღე-ნახევრის შემდეგ დატოვეს.

***– მთავარი ის არის, რომ ისე ჩააბარეს კოდორის ხეობა, იქ ტყვია არ გავარდნილა. არ უბრძოლიათ, ტყვია-წამალიც იქ დატოვეს და შეიარაღებაც. ხომ ფაქტია?***

– შეიარაღებაში რა გაქვთ მხედველობაში?

***– რა შეიარაღებაც იყო კოდორში ატანილი. საააკაშვილმა ხომ აიტანა? ყველა იმას ამბობს, თანამედროვე ტიპის, კარგი შეიარაღება გვქონდა, მაგრამ კოდორი უბრძოლველად ჩაბარდაო.***

– თქვენ არ გაგიგიათ, ვინ იყო იქ კომენდანტი, ვის ებარა იქ ყველაფერი?

***– არა, არ ვიცი.***

– ბატონი სოსო ქარჩაიძე იყო მაშინ კოდორის კომენდანტი. მე სამხედრო საკითხებში არ ვერეოდი, თქვენ შეგიძლიათ, ეს კითხვები სოსო ქარჩაიძეს დაუსვათ, რომელიც, თუ არ ვცდები, დღეს შინაგანი ჯარების შტაბის უფროსია. ბატონ სოსო ქარჩაიძეზე მეტად არავინ იცის, კოდორში რა დატოვა და რატომ დატოვა. მე იქ დატოვებული არაფერი მინახავს. არ ვიცი, რა შეიარაღება იყო, იქ ჩვენ ერთი ტანკიც არ გვყავდა. არტილერია იქ არ იდგა. იქ რა იყო, არ ვიცი. ერთი სამოქალაქო ვერტმფრენი იყო და 9 აგვისტოს საღამოს ძლივს გამოასწრო, თვითმფრინავებს რომ არ დაებომბათ.

***– კარგი, ის ხომ იცით, რომ არ უბრძოლიათ?***

– ფაქტია, რომ არ უბრძოლიათ.

***– მაშინ, როდესაც ცხინვალის მიმართულებით 7-8 აგვისტოს ბრძოლები იყო.***

– რა თქმა უნდა.

***– 10 წლის წინანდელი მოვლენების თქვენეული შეფასება დღეს როგორია?***

– ჩემი შეფასება ასეთია: კარგი, ცხინვალის რეგიონში იყო შეტაკებები, ჩვენ და რუსები ერთმანეთს ვესროდით. კოდორის ხეობაში ჩვენ ვის ვესროდით და იქაურობა რატომ დაგვატოვებინეს? რუსები აცხადებენ, რომ ცხინვალის მიმართულებით ჩვენ დავესხით თავს. კოდორში ვინ ვის დაესხა თავს? კოდორი რა შუაში იყო?

***– კოდორი რომ არ დაგეტოვებინათ, რუსები არ შემოვიდოდნენ?***

– როგორ არ შემოვიდოდნენ. ჩვენი დაზვერვა გასული იყო და გვითხრეს, რომ მთელი დივიზიონები იდგნენ ჩვენს გადასასვლელთან. რუსები საბრძოლველად მზად იყვნენ, მაგრამ თავდაპირველად თვითმფრინავებიდან დაბომბვა დაიწყეს. დივიზიონები იდგნენ, მაგრამ ეშინოდათ, ქვემოდან ვერ ჩამოდიოდნენ, იქიდან ისროდნენ და სამიზნეებს კარგად ვერ ახვედრებდნენ. ესეც ფაქტია.

***– თქვენ იყავით სტრატეგიულ წერტილში, ხომ?***

– კი.

***– ზემოდან რომ დაეშინათ ქართველებს, რუსის ჯარი ქვემოდან როგორ ამოვიდოდა? ბრძოლის დროს სტრატეგიულ წერტილებს ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს?***

– მე 1994 წლიდან 2005 წლამდე მესაზღვრე ვიყავი და ვიყავი მოადგილე. იქ ზემოდან და ქვემოდან არ არსებობს. რუსებს შეეძლოთ, უკნიდან დაერტყათ, შეეძლოთ, გზა გადაეკეტათ. ჭუბერის მიმართულებით გადასასვლელთან ნებისმიერ დროს შეეძლო, რუსეთს დესანტი ჩამოესხა და გადმოსასვლელი გზა გადაეკეტა. მით უმეტეს ახალი გზა ტყვარჩელიდან ძალიან ახლოს გადიოდა.

***– მაშინ კვიციანი კოდორის დაცვას როგორ ახერხებდა?***

– მეც იქ ვიყავი და ყველაფერი ვიცი.

***– იმ დროს როგორ მოახერხეთ კოდორის დაცვა?***

– რუსმა მოინდომა 2008 წლის 8 აგვისტოს, რომ ცხინვალის რეგიონი და კოდორის ხეობა აეღო. როცა მოინდომა, მაშინ აიღო.

***– რუსებს უნდოდათ, მთელი საქართველო აეღოთ, მაგრამ ხომ გააჩერეს? რადგან დაკავებული ჰქონდათ სეპარატისტებს, ამიტომ ველარ შევძელით მათი გაყრა.***

– თქვენი შეკითხვა არის სამხედროებთან. იმ დროს კოდორის დაცვას სოსო ქარჩაიძე ხელმძღვანელობდა და ჰკითხეთ.

***– მას შემდეგ კოდორში არ ასულხართ ან ვინმე დაბრუნდა და ნახა თავისი სახლ-კარი?***

– მე არა, მაგრამ 60 ოჯახი დაბრუნდა.

***– გაძარცვული დახვდათ?***

– რუსებს სახლები არ გაუძარცვავთ. თუ რამე გაძარცვულია, აფხაზებმა წაიღეს, მაგრამ ბევრი არაფერი იყო წაღებული. მათგან ვინც დარჩა, ან დაბრუნდა, ვისაც ომში მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, რამდენიმე ადამიანი დაიჭირეს და 3-4 წელი ჩამწყვდეული ჰყავდათ. მერე წითელი ჯვრის ჩარევით გამოუშვეს. ვინც ომში მონაწილეობდა, მისი დაბრუნება შეუძლებელი იყო. იმ ხალხს იქ არავინ გააჩერებდა.

# „თურქეთსა და რუსეთთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი კიდევ უფრო გაიზრდება“

ამერიკის მიერ რუსეთისა და თურქეთის მიმართ დაწესებულმა და დაანონსებულმა სანქციებმა ამ ქვეყნებში ადგილობრივი ვალუტები მნიშვნელოვნად გააუფასურა. მხოლოდ აგვისტოში ლირა დოლარის მიმართ თითქმის – 47 პუნქტით, რუბლი კი 4 პუნქტით გაუფასურდა. ლირისა და რუსული რუბლის გაუფასურების ფონზე გუშინ ლარის კურსიც დაეცა.



უკავშირდება თუ არა ლარის კურსის ასეთი ცვლილება ლირა-რუბლის გაუფასურებას, ამის თქმა კონკრეტულად შეუძლებელია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ქვეყანა საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორები არიან და, შესაბამისად, მათ ეკონომიკებში მიმდინარე პროცესები ჩვენზეც მეტ-ნაკლებად ნეგატიურად აისახება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2018 წლის 6 თვის სტატისტიკით მთლიან ექსპორტში თურქეთის წილი 9,7%-ს შეადგენს, იმპორტში კი – 16%-ს. რუსეთის წილი ექსპორტში 12,8%-ია, იმპორტში – 10,1%.

ამავე მონაცემების მიხედვით, მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში თურქეთიდან 708,7 მლნ დოლარის ოდენობის პროდუქციის იმპორტი განხორციელდა, ექსპორტზე კი 155,2 მლნ დოლარის პროდუქცია გავიდა. რაც შეეხება რუსეთს, ჩრდილოეთში 6 თვეში ექსპორტზე 204,4 მლნ დოლარის პროდუქტი გავიდა, იქიდან კი 445,6 მლნ დოლარის იმპორტი განხორციელდა.

საკმაოდ დიდი რაოდენობით თანხა ირიცხება საქართველოში ორივე ქვეყნიდან. კერძოდ, მთლიან ფულად გზავნილებში თურქეთის წილი დაახლოებით 8%-ა, რუსეთის კი – 28,7%. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2018 წლის 6 თვეში თურქეთიდან საქართველოში 58,1 მლნ დოლარი გადმოირიცხა, რუსეთიდან კი – 214,1 მლნ დოლარი.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, რუსეთიც და თურქეთიც საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია და შესაბამისად, იმ ქვეყნების ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები საქართველოზეც ნეგატიურად აისახება და თანაც, არც ისე უმტკივნეულოდ. ეკონომისტის თემურ ბასილიას პროგნოზით, გაძვირდება ქართული ექსპორტი, რასაც მოთხოვნის შემცირება მოჰყვება, ასევე შემცირდება ფულადი გზავნილები. რაც შეეხება იმპორტს, მისი თქმით, საქართველოს შიდა ბაზარი თურქული პროდუქციით კიდევ უფრო მეტად გაჯერდება.

– რუსული რუბლისა და თურქული ლირის გაუფასურების შემთხვევაში ქართული პროდუქციის ექსპორტი ამ ქვეყნებში გაძვირდება. ამიტომაც მათ გაუჭირდებათ კონკურენცია ამ ბაზრებზე და, შესაძლოა, ამ ქვეყნებში ქართული ექსპორტის მოცულობა შემცირდეს. შედეგად, არ გამოვრიცხავ, რომ თურქეთსა და რუსეთთან უარყოფითი სავაჭრო ბალანსი კიდევ უფრო გაიზარდოს.

გარდა ამისა, გაუარესდება ამ ქვეყნებში სამუშაოდ მყოფ ქართველთა მდგომარეობა, რომლებიც ალბათ, ველარ შეძლებენ ისეთივე ოდენობით თანხების გადმორიცხვას საქართველოში. ეს კი, სოციალურ პრობლემებს კიდევ უფრო გააუარესებს საქართველოში. ასევე გადმორიცხვების შემცირება ნეგატიურად აისახება ლარის გაცვლით კურსზეც, ეროვნული ვალუტა გაუფასურდება, – განუცხადა თემურ ბასილიამ „ბიზნესპრესნიუსს“.

ბპნ

# ირაკლი ბერძენაძე: „ლარის გაუფასურება გაგრძელდება“



არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის ხელმძღვანელი ირაკლი ბერძენაძე ლარის ბოლო დღეების გაუფასურებას ბაზარზე არსებულ სპეკულაციებს უკავშირებს. მისი განცხადებით, ამ ყველაფერს თურქული ლირის გაუფასურებასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

– ჩვენ უფრო სხვა პრობლემა გვაქვს. კერძოდ, დოლარის შემოტანამ ქვეყანაში იკლო, ეს კი ნიშნავს იმას, რომ დოლარი კონკურენტუნარიანია. ბოლო პერიოდში, ლარი 10 პუნქტით გაუფასურდა. 2 კვირის წინ იყო 2.43 და ახლა ბლუმბერგზე 2.53 -ია. ეს არის დასაწყისი იმ გაუფასურების პროცესისა, რომელიც წინა წელსაც გვქონდა და სეზონურია. შესაბამისად, უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაუფასურებას უნდა ველოდოთ, – აცხადებს ბერძენაძე.

მისი განცხადებით, გრძელვადიან პერიოდში ველოდებით ლარის კურსის 2.55 – 2.60 ნიშნულამდე დაცემას, რადგან ზუსტად ემთხვევა გასული წლის ტრენდს. როგორც ბერძენაძე აცხადებს, გასული წლის სექტემბერში ლარის გაუფასურება დაიწყო და ნოემბერში 2.7 ნიშნულამადე დაეცა.

– ტურისტული სეზონი უკვე დასრულების პროცესშია. სექტორიდან შემოსავლები რამდენიმე თვეში უკვე აქტიურად აისახება. ის პოზიცია, რომ ლარს გაუფასურებისგან ტურიზმი დაიცავს, არასწორია, რადგან ტურიზმი ძალიან ბევრ ქვეყანასაც აქვს, მათ შორის ეგვიპტესაც, თურქეთსაც და ამ ქვეყნებში არანაირი შედეგი არ მოუტანია, – აცხადებს ბერძენაძე.

მისი განმარტებით, ქვეყანაში ბოლო პერიოდში არ გაზრდილა ექსპორტი, არ შემოდის ფულადი მასა, ინვესტიციები, იკლო კაპიტალდაბანდებებმა, შესაბამისად, ეს არის მიზეზი, თუ რატომ არის ის, რომ დოლარი არის ძლიერი და ლარი გაუფასურების ტენდენციით.

ბერძენაძის განცხადებით, სიტუაციიდან მოგებული ისევ და ისევ კომერციული ბანკები დარჩებიან. ისინი ყველაზე მეტად იხეირებენ.

– დარჩენილია ორი გზა – პირველი, რომ გაიზარდოს ექსპორტის მაჩვენებელი, რაც მოკლევადიან პერიოდში გამორიცხულია და მეორე – სავალუტო ფონდი თუ გამოყოფს გარკვეულ ფინანსებს და მოკლევადიან პერიოდში ლარს გაგვიმყარებს, – აცხადებს ბერძენაძე.

შეგახსენებთ, ეროვნული ვალუტა უფასურდება. Bloomberg-ის ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში 1 აშშ დოლარი 13:00 საათისთვის 2,5325 ლარად ივაჭრება. საქართველოს ეროვნული ბანკი ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსს აშშ-ის და ევროს მიმართ 17:00 საათისთვის გამოაქვეყნებს. 25 მაისს განსაზღვრული კურსით ერთი დოლარის ღირებულებამ 2.4687 ლარი შეადგინა.

კომერსანტი

# კანადელი ბიზნესმენი ბახმაროში კოტეჯების აშენებას გეგმავს



კანადელი ბიზნესმენი ვადიმ მალიშევი კურორტ ბახმაროში სასტუმრო კომპლექსის აშენებას გეგმავს და ამ მიზნით ის გურიის გუბერნატორ მერაბ ჭანუყვაძეს შეხვდა. ინვესტორის კონცეფცია კურორტზე კოტეჯების აშენებას გულისხმობს, სადაც დამსვენებლებს ექნებათ ოჯახურ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობა.

– მსურს ბახმაროში ავაშენო კოტეჯის ტიპის სახლები, სადაც დამსვენებლებს მასპინძლობას ოჯახები გაუწევენ. ყველა კოტეჯში წარმოდგენილი იქნება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოსი და სტუმარმასპინძლობის თავისებურებანი. ვაწარმოებ მოლაპარაკებას ეკონომიკის სამინისტროსთან უძრავი ქონების შესყიდვის შესაძლებლობებზე. გუბერნატორმა ბიზნესის დაწყების და განვითარების კუთხით მაქსიმალური მხარდაჭერა აღმითქვა, რისთვისაც ვუხდი მადლობას. ჩემთვის მნიშვნელოვანია, დამსვენებლებს შევთავაზო ბახმარო პირველ რიგში, როგორც სამკურნალო თვისებების მატარებელი კურორტი, – აღნიშნა ვადიმ მალიშევმა.

– სამუშაო შეხვედრაზე ვისაუბრეთ იმ დეტალებზე, რომელიც ინვესტორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული სახის დახმარება მიიღოს. თუ მოხდება სახელმწიფოსა და ინვესტორის ინტერესების თანხვედრა, ვფიქრობ, ბახმაროში საინტერესო და მიმზიდველ ინვესტიციას მივიღებთ, რომელიც კურორტის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს, – განაცხადა მერაბ ჭანუყვაძემ.

კომერსანტი

# რამდენიმე მოქალაქეს უძრავი ქონება იძულების წესით ჩამოერთმევა



თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის გამო „საქართველოს რკინიგზას“ რამდენიმე მოქალაქის უძრავი ქონების ექსპროპრიაციის (საკუთრების ძალადობრივი ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებით ან მის გარეშე) უფლება მიენიჭა.

პროექტის მიზანია უღელტეხილის მონაკვეთზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით რკინიგზის ხაზის გამტარუნარიანობის გაზრდა და მგზავრობის დროის შემცირება. ცნობისთვის, საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებს საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია შპს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფი“ 2011 წლის 12 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი 6 სარკინიგზო გვირაბის მშენებლობიდან ექვსივე გვირაბის მშენებლობა დასრულებულია. მათ შორის, ქვიშხეთი-ზვარეს გვირაბის ექსპლუატაციის მიზნით, კერძოდ: სარკინიგზო ლიანდაგის გვერდით საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია საავტომობილო გზის მოწყობა, რომელიც ხარაგაული-ჩუმათელეთის დამაკავშირებელ გზას წარმოადგენს. ამასთან, არსებული გზა გვირაბის მშენებლობის გამო მოდიფიცირებას განიცდის.

პროექტის განსახორციელებლად აუცილებელია 7 ადამიანის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოსყიდვა, თუმცა, როგორც ეკონომიკის მინისტრის ბრძანებაშია აღნიშნული, დასახელებულ მესაკუთრეებთან ნებაყოფლობით გამოსყიდვაზე შეთანხმება ვერ შედგა.

კერძოდ, საუბარია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მოლითში ეთერ ცხოვრებაძის კუთვნილ 1.984 კვ.მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე, რომლის საექსპროპრიაციო ფართია 505 კვ.მ მიწის ნაკვეთი, შენობა/ნაგებობა, ღობე, მრავალწლიანი ნარგავები; ასევე სოფელ ნებოძირში გოჩა და გელა ცხოვრებაძეების კუთვნილ 1.710 და 1.326 კვ.მეტრის მიწის ნაკვეთებსა და მასზე არსებულ შენობა/ნაგებობებზე, საიდანაც პროექტისთვის საჭირო ფართია 561 და 1326 კვ.მეტრი და მრავალწლიანი ნარგავები.

ექსპროპრიაციას ექვემდებარება ასევე ნებოძირში ნიკო კაკიაშვილის საკუთრებაში არსებული 1.345 და 430 კვ.მეტრის მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა/ნაგებობები; თინა კვინიკაძის კუთვნილი 710 და 746 კვადრატული მეტრი ფართობის ნაკვეთი და შენობა ნაგებობები, საიდანაც საექსპროპრიაციო ფართია 180 და 187 კვ.მეტრის ტერიტორია, მრავალწლიანი ნარგავები, ღობე და შენობა-ნაგებობები. პროექტის ფარგლებში ექცევა ასევე მანანა ლომსაძისა და გიორგი ბანცაძის 801 კვ.მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი და მანანა ლომსაძის საკუთრებაში არსებული 160 კვ.მეტრის მიწის ნაკვეთი.

ბპნ

# „თხილის მოსავლის 40-50% წელსაც განადგურდა“

სამეგრელოში ფერმერებმა თხილის ჩაბარება უკვე დაიწყეს. პროდუქციის ღირებულება წელსაც დაბალია. ადგილობრივების ინფორმაციით, ჩასაბარებელ პუნქტებში თხილის ფასი 50 თეთრიდან იწყება და 2.50-მდე აღწევს. თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის თქმით, წელს შარშანდელთან შედარებით უკეთესი მოსავალია. თუმცა, ალექსანდრე მოწერელიას განცხადებით, ფაროსანაზე მეტად ამ სეზონზე თხილი სოკოვანმა დაავადებებმა დააზიანა.



– მოსავალი იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში ძირითადად, სოკოვანი დაავადებების შედეგად გაფუჭდა. კახეთში ეს პრობლემა არ დგას, რადგან იქ მშრალი ჰავაა და სოფლის მეურნეობის წარმოების კულტურაც შედარებით მაღალია. თუ ფერმერები არ ისწავლიან მცენარის მოვლას, მუდმივად ამ გამოწვევების წინაშე ვიქნებით, – აცხადებს მოწერელია.

თხილის გადამამუშავებელთა და ექსპორტიორთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის თქმით, წელს თხილის უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყანას, თურქეთს, კარგი მოსავალი აქვს. ამასთანავე, ქვეყანაში მნიშვნელოვანადაა გაუფასურებული ლირა, ამიტომ როგორც მოწერელია აცხადებს, მსოფლიო ბაზარზე თურქული თხილის ფასი 5.80 დოლარი იქნება, ქართულის კი 5.30 დოლარი.

– ამ ეტაპზე გაურჩეველი თხილის ჩაბარების მაქსიმალური ფასი საქართველოში 2 ლარი და 50 თეთრია, მოგეხსენებათ, ჯერჯერობით პროდუქტი სველია, გამოშრობის შემდეგ კი ღირებულება, სავარაუდოდ, 5 ლარს მიაღწევს, – ამბობს მოწერელია.

მისივე განცხადებით, მსოფლიო ბაზარზე ქართული თხილის პოზიციები შარშანდელის შემდეგ მნიშვნელოვნად შეირყა.

– მართალია, ქართული თხილი ექსპორტიორთა ხუთეულშია, თუმცა ეს დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს. ჩვენ დღეს ჩვენი შესაძლებლობების მხოლოდ 50%-ს ვაწარმოებთ, – აღნიშნავს მოწერელია.

კომპანია „კესკიას“ დირექტორ მარიკა კოდუას განცხადებით, წლევანდელ სეზონს სახელმწიფოც და ფერმერებიც მომზადებულები შეხვდნენ. მისი თქმით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საჯარო ადგილები დაამუშავა, რის შედეგადაც ფაროსანას დიდი ნაწილი განადგურდა. თუმცა კოდუას განმარტებით, ფერმერებს იმ ტერიტორიების დაცვა, რომლებიც ტყის მასივებთან ახლოს მდებარეობდა, წელსაც ძალიან გაუჭირდათ.

– ადგილობრივი საწარმოები ჯერ სრულად არ ამოქმედებულა. თხილს ამ ეტაპზე ჩამბარებელი პუნქტები იღებენ. ფასი 50 თეთრიდან იწყება და მაქსიმალური ღირებულება -2 ლარსა და 50 თეთრს შეადგენს. რაც შეეხება მოსავალს, სიტუაცია გამოსწორებულია, თუმცა მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი წელსაც განადგურდა, დაახლოებით, 40-50% წელსაც გაფუჭებულია, – აცხადებს მარიკა კოდუა.

საქსტატის ცნობით, თხილის ექსპორტი 2017 წელს წინა წელთან შედარებით, 97 მლნ დოლარით შემცირდა. კერძოდ, გასულ წელს ახალი ან ხმელი თხილის ექსპორტმა 82.4 მლნ დოლარი შეადგინა, მაშინ როცა 2016 წელს ეს მაჩვენებელი – 179.4 მლნ დოლარი იყო. რაც შეეხება 2014 და 2015 წლებს, ამ პერიოდში შესაბამისად, 183.4 და 176.2 მლნ ლარის მოცულობის თხილის ექსპორტი განხორციელდა.

რაც შეეხება რაოდენობრივ მაჩვენებელს, წინა წელს საქართველოდან ექსპორტზე 15.136.9 ტონა, 2016 წელს კი – 27.108.4 ტონა ახალი ან ხმელი თხილი გავიდა.

ბპნ

# 2018 წლის 7 თვეში საქართველოს საჰაერო სივრცეში 86.356 ინსტრუმენტული ფრენა შესრულდა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქაერონავიგაციის“ ინფორმაციით, 2018 წლის იანვარ-ივლისის განმავლობაში საქართველოს საჰაერო სივრცეში შესრულდა 86.356 ინსტრუმენტული ფრენა. აღნიშნული მაჩვენებელი 7.955 ფრენითა და 10.1%-ით მეტია 2017 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე;

2018 წლის 7 თვის განმავლობაში შესრულებული გადაფრენების რიცხვი 60.415 ფრენას შეადგენს, რომელიც 2017 წლის მაჩვენებელს 3.031 ფრენით, ანუ 5.3% -ით მეტია. აფრენა – დაფრენის რაოდენობა კი 25.941-ია, რაც 2017 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 4.924 ფრენით, ანუ 23.4%-ითაა გაზრდილი.

საქართველოს საჰაერო სივრცეში ნაფრენი დისტანცია 2018 წლის იანვარ- ივლისის ჩათვლით 23.930.405 კმ-ს შეადგენს, რაც 333.601 კმ-ით და 1,4%-ით მეტია გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე.



კომერსანტი

# „სროლის შემდეგ დავინახე ქუთათელაძის ოფისიდან გამოსული გიორგი ჭანტურია, რომელსაც მარჯვენა ხელში ეჭირა იარაღი“

## გიორგი ჭანტურიას პატიმრობა შეეფარდა

ფარული აუდიოჩანაწერით, რომელიც გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმის მასალებში დევს, ირკვევა, რომ ბრალდებულის ბინიდან ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ავტომატურ იარაღსა და ვაზნებს ბრალდებული გიორგი ჭანტურია სახლში ინახავდა.

„ქრონიკისთვის“ ექსკლუზიურად ცნობილი ხდება მთავარი მოწმის ჩვენება, სადაც ის ყვება, რომ 15 იანვარს გიორგი ჭანტურია მოკლულის კაბინეტიდან იარაღით ხელში გამოვიდა.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად საქმეში დევს რამდენიმე მტკიცებულება, მათ შორის არის საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმის ჩვენება, თუ როგორ ვითარდებოდა მოქმედებები სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის დღეს.

მოწმე ყვება, რომ რამდენიმე გასროლის ხმა გაიგო და ამის შემდეგ დაინახა, თუ როგორ დატოვა გიორგი ჭანტურიამ ქუთათელაძის სამუშაო ოთახი.

– როდესაც გავუსწორდი სამსონ ქუთათელაძის ოფისს, არმისული ოფისის უკანა კარის ხაზთან, ჩემგან დაახლოებით 7-8 მეტრში დავინახე ოფისიდან გამოსული გიორგი ჭანტურია, რომელსაც მარჯვენა ხელში ეჭირა იარაღი, – ყვება მთავარი მოწმე.

ასევე საქმეში არსებობს ჭანტურიას დის ფარული აუდიოჩანაწერი, სადაც და აცხადებს, რომ ოჯახმა ვერ მოასწრო 300 ვაზნის, 24 მჭიდისა და 3 ავტომატის გადამალვა.

საქმის მთავარი მოწმის ჩვენებიდან ირკვევა, რომ ჭანტურიამ სტამბოლის ბაზრის დატოვების შემდეგ ტანსაცმელი გამოიცვალა და მკვლელობის ადგილს დაუბრუნდა.

საქმიდან ირკვევა, რომ ჭანტურია მკვლელობიდან მალევე ევროპაში გაემგზავრა.

ფარული საგამოძიებო მოქმედებების ფარულ საგამოძიებო აუდიოჩანაწერში, რომელიც „ქრონიკამ“ მოიპოვა, ბრალდებულის და ყვება, რომ თუ მისი ძმის მიერ საზღვრის გადაკვეთის შემდეგ საგამოძიებო უწყება მისი მიმალვის შესახებ გააკეთებდა განცხადებას, ბრალდებული ევროპაში დარჩებოდა.

* * *

10 აგვისტოს რუსთავის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულ გიორგი ჭანტურიას აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეუფარდა.



მოსამართლემ პატიმრობის შეფარდების თაობაზე ბრალდების მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

როგორც პროკურორმა ლევან ჯალაღანიამ პროცესზე განაცხადა, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ყოფილი გენერლისა და ე.წ. სტამბოლის ბაზრის მეწილის, სამსონ ქუთათელაძის მკვლელობა სწორედ გიორგი ჭანტურიამ ჩაიდინა. პროკურორის თქმით, აღნიშნული დანაშაული ჭანტურიამ შურისძიების მოტივით ჩაიდინა და ქუთათელაძე სამუშაო ოთახში არარეგისტრირებული იარაღით მოკლა. პროკურორის მტკიცებით, საქმეზე დაკითხულია რამდენიმე მოწმე და მათი ჩვენებები ჭანტურიას მიერ ჩადენილი დანაშაულის ფაქტს ადასტურებს.

ბრალდების მხარის განმარტებით, თუ გიორგი ჭანტურია თავისუფალი იქნება, ის დააბრკოლებს გამოძიების პროცესს ან, შესაძლოა, მიიმალოს. აქედან გამომდინარე, პროკურატურამ ჭანტურიას მიმართ პატიმრობის შეფარდება მოითხოვა.

ადვოკატებმა სასამართლოს 10.000-ლარიანი გირაოს შუამდგომლობით მიმართეს. ამასთან, ადვოკატ ანა კეკენაძის განცხადებით, გიორგი ჭანტურია გამოძიების დაწყებით ეტაპზე თანამშრომლობდა გამოძიებასთან. მისი განმარტებით, ჩატარებული ექსპერტიზებით დასტურდება, რომ ჭანტურიას ქუთათელაძე არ მოუკლავს და აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობა არ დასტურდება.

რაც შეეხება ჩხრეკისას ამოღებულ იარაღებს, კეკენაძის თქმით, ისინი სახლში სამართალდამცველებმა მიზანმიმართულად ჩადეს.

ამასთან, ადვოკატის თქმით, ბრალდებულის მიმალვის საფრთხე არ არსებობს, რაც მყარდება იმით, რომ ჭანტურია 8 თვის განმავლობაში საქართველოში იმყოფებოდა და თავისუფლად გადაადგილდებოდა.

– რაც შეეხება ბრალდების მხარის მიერ გუშინ მედიით გავრცელებულ ჩანაწერს, სადაც თითქოს ჭანტურიას დის ხმა ისმის, ეს არის ფალსიფიცირებული და ჯერ კიდევ სასამართლოში წარმოდგენამდე გაავრცელეს. ამით შექმნეს ფონი, თითქოს ჭანტურიას შეხება ჰქონდა აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან, – განაცხადა ადვოკატმა კეკენაძემ.

სასამართლოს დასრულების შემდეგ ადვოკატმა განაცხადა, რომ სასამართლომ გიორგი ჭანტურიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა დაუსაბუთებლად და ყოველგვარი არგუმენტის გარეშე გამოიყენა.

– ამას ჩვენ გავასაჩივრებთ როგორც სააპელაციო სასამართლოში, ასევე მივმართავთ სტრასბურის სასამართლოს, – განაცხადა ადვოკატმა ანა კეკენაძემ.

* * *

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმე გახსნეს. მათი ინფორმაციით, გიორგი ჭანტურია განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ჩატაევის საქმეზე ძებნილი რუსლან შავაძე ბათუმში დააკავეს

სამართალდამცავებმა ტერორიზმის ხელშეწყობისთვის ძებნილი რუსლან შავაძე დააკავეს.

ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში 10 აგვისტოს გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ტერორიზმის მხარდაჭერის საქმეზე რუსლან შავაძეს 27 ივლისს დაუსწრებლად შეუფარდა ბრალი, მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

შავაძე ბათუმში დააკავეს.

„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებთან ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 9 აგვისტოს, ბათუმში, ტერორიზმის ხელშეწყობის საქმეზე მსჯავრდებული, 1997 წელს დაბადებული, ძებნილი რუსლან შავაძე დააკავეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის განაჩენით, რუსლან შავაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანებისა და ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარებისათვის, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჯგუფურად უკანონოდ გადაკვეთისათვის. რუსლან შავაძეს სასჯელის სახით დაუსწრებლად განესაზღვრა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 328 მუხლით, 344 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით.

ჩატარებული გამოძიებითა და მოპოვებული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ ახმედ ჩატაევმა, იბრაგიმ ადაშევთან და რუსლან შავაძესთან ერთად, 2017 წლის 27 ოქტომბერს არალეგალურად გადმოკვეთა საქართველო-თურქეთის საზღვრის კირნათი-მარადიდის მწვანე ზოლის მონაკვეთი, რაშიც დახმარებას ასევე უწევდნენ მათი დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრები, რომელთა მიმართაც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.



ახმედ ჩატაევი, იბრაგიმ ადაშევი და რუსლან შავაძე, მათივე დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, დაბინავდნენ ქ.თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე, მათთვის თანამზრახველების მიერ წინასწარ შერჩეულ ბინაში, სადაც 2017 წლის 21-22 ნოემბერს ჩატარებულ იქნა სპეცოპერაცია, რომლის დროსაც ლიკვიდირებულ იქნა ორი ტერორისტი – იბრაგიმ ადაშევი და ასლანბეგ სოლტახმადოვი. ახმედ ჩატაევმა თავი აიფეთქა. დაკავებულ იქნა შოაიფ ბორზიევი.

აღნიშნული სპეცოპერაციის დროს დაიღუპა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომელი ივანე გოლაშვილი. დაიჭრნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები.

რუსლან შავაძემ სპეცოპერაციის დაწყებამდე რამოდენიმე საათით ადრე საცხოვრებელი ბინა დატოვა და მიიმალა. გამოძიების მსვლელობის პროცესში იგი დაუსწრებლად იქნა მიცემული პასუხისგებაში, გამოცხადებულ იქნა ძებნა და მიმდინარეობდა აქტიური სამძებრო ღონისძიებები მისი დაკავების მიზნით.

არსებული ინფორმაციით, რუსლან შავაძემ 2016 წლის სექტემბერში, მწვანე ზოლის გამოყენებით სოფელ მარადიდის მონაკვეთზე უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და გადავიდა თურქეთის ტერიტორიაზე. რუსლან შავაძე მალევე შეუერთდა სირია-ერაყის ტერიტორიაზე მყოფ ახმედ ჩატაევის დაჯგუფებას და მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც ჩატაევმა დატოვა სირია-ერაყის ტერიტორია, რუსლან შავაძეც მასთან ერთად გადავიდა თურქეთის რესპუბლიკაში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულ ცენტრში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება“, – განაცხადეს ბრიფინგზე.

# გია ფეიქრიშვილის მკვლელმა მოკლულის ცოლი გაიტაცა და დიდუბის მეტროსთან ჩამოაგდო – მკვლელობის ახალი დეტალები

ვარკეთილში მომხდარი მკვლელობის შესახებ ახალი დეტალები გახდა ცნობილი.



შეგახსენებთ, რომ 9 აგვისტოს, ღამით, ვარკეთილში სროლის შედეგად 41 წლამდე მამაკაცი, გია ფეიქრიშვილი, დაიღუპა, ხოლო ერთი დაიჭრა. დაჭრილი 48 წლამდე მამაკაცია, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი.

მკვლელობა სადარბაზოში, ლიფტთან მოხდა.

ამის შემდეგ მკვლელმა მოკლული მამაკაცის ცოლი გაიტაცა და გაიქცა, შემდეგ კი ქალი დიდუბის მეტროსთან ჩამოაგდო.

ამის შესახებ დრონი.ჯი-ს გარდაცვლილის ოჯახის ახლობელმა განუცხადა.

– ვარკეთილიდან რომ წაიყვანა, გზაში არ ვიცი, რა მოხდა, დიდუბის მეტროსთან ჩამოუგდია, შემდეგ საავადმყოფოში გადაიყვანეს, არ ვიცი, მგონი დაზიანებები ჰქონდა და მაგიტომ, – აცხადებს ოჯახის ახლობელი.

რუსთავი 2-ის ცნობით, ვარკეთილში გიორგი ფეიქრიშვილი ცოლის თვალწინ მოკლეს. სისხლიან გარჩევას წინ კონფლიქტი უძღოდა, რომელსაც მეზობელი შეესწრო.

დაჭრილი მეზობელი საავადმყოფოში მხრის არეში ცეცხლნასროლი გამჭოლი ჭრილობით გადაიყვანეს. ის ერთ-ერთი მთავარი მოწმეა, რომელმაც, სავარაუდოდ, მკვლელი დაინახა, თუმცა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ჯერ სამართალდამცველებმა ვერ დაკითხეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კონფლიქტის მიზეზი ეჭვიანობა იყო. სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა უკვე დაადგინეს, თუმცა ის ჯერ არ დაუკავებიათ. სავარაუდო მკვლელის ვინაობა ცნობილია „კურიერისთვისაც“. პირი, რომელსაც პოლიცია ეძებს, 1989 წელს დაბადებული მამაკაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო განზრახ მკვლელობისა და განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით დამამძიმებელ გარემოებებში. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, დანაშაულის ჩამდენს 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

# ახალმა ამერიკულმა სანქციებმა რუსეთი დააშინა



სახელმწიფო დეპარტამენტმა რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციების შემოღება დააანონსა. ისინი ძალაში 22 აგვისტოდან შევა. მიზეზი მამა-შვილ სკრიპალების მოწამვლაა.

– უკვე დამტკიცებულია, რომ სკრიპალების მოწამვლის უკან რუსეთი დგას! – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

ახალი სანქციები წინამორბედებზე ბევრად სერიოზულია. ზიანი, რომელიც მათი მიღების გამო რუსეთს მიადგება, დიდი იქნება. ამერიკული სანქციები იმ საქონლის ექსპორტს შეუშლის ხელს, რომელიც რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული. მათ შორისაა ნავთობის ტექნოლოგია, ელექტრონიკა და ა.შ. ამიტომ გასაგებია ის რეაქცია, რომელიც ამერიკულმა სანქციებმა რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში გამოიწვია.




რუსეთის პრემიერმა დიმიტრი მედვედევმა ამერიკელების მიერ დამატებითი სანქციების შემოღებას რუსეთისთვის ეკონომიკური ომის გამოცხადება უწოდა. მედვედევი პირდაპირ მუქარასაც არ მოერიდა.

– თუ ასეთი სანქციები მართლაც შემოიღეს, საპასუხო რეაქციას არ დავაყოვნებთ. რუსეთი მხოლოდ ეკონომიკური მეთოდებით არ იმოქმედებს, – თქვა მედვედევმა.

პუტინის თანაშემწე დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ სანამ სასამართლოს სკრიპალების მოწამვლასთან დაკავშირებით განაჩენი არ გამოუტანია, რუსულ კვალზე ლაპარაკი არ შეძლება. პესკოვმა სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებას ლინჩის სასამართლოს ტრადიციების გაგრძელება უწოდა.

– ამერიკელები ცდილობენ, ანგარიში გაუსწორონ რუსეთს, როგორც კონკურენტს. სკრიპალების მოწამვლა მათთვის მეათეხარისხოვანია, – ამბობს პესკოვი.

რუსეთის ხელისუფლების რეაქცია კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რაოდენ ზიანს აყენებს რუსეთს ამერიკული სანქციები.

## ესპანეთში სპეცოპერაციის შედეგად 9 ტონამდე ჰაშიში ამოიღეს




ესპანეთში ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაახლოებით 9 ტონა ჰაშიში ამოიღეს.

ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის ინფორმაციით, სპეცოპერაციის ფარგლებში სამართალდამცველებმა 15 ადამიანი დააკავეს.

სპეცოპერაცია ალმერია და კადისში ჩატარდა. დაკავებულებს შორის 11 ესპანელია, 1 რუმინეთის მოქალაქე და 3 – ჩრდილოაფრიკელი.

ჰაშიში ესპანეთში მაროკოდან შეჰქონდათ.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ესპანელმა სამართალდამცველებმა 477 ტონა ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს.

## ფაშინიანი: „რუსეთი სომხეთში ახალ ვითარებას უნდა შეეგუოს“



სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა, რომ რუსეთი უნდა შეეგუოს სომხეთში არსებულ ახალ გარემოებებს.

ეს განცხადება ფაშინიანმა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელ სერგეი ლავროვის განცხადების საპასუხოდ გააკეთა, რომელმაც სომხეთის ახალ ხელისუფლებას პოლიტიკური ოპონენტების დევნისგან თავის შეკავება ურჩია.

– ჩვენთან ახალი ვითარებაა. ჩვენ ყველამ უნდა მოვახერხოთ ამ სიტუაციასთან ადაპტაცია, მათ შორის, ჩვენმა რუსმა კოლეგებმაც და ჩვენც, – განაცხადა ფაშინიანმა ლავროვის საპასუხოდ.

შეგახსენებთ, რომ 26 ივლისს 2008 წლის პირველი მარტის საპროტესტო აქციის დაშლის საქმის გამო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ექსპრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანს ბრალი წაუყენა. მეორე დღეს იგი დააპატიმრეს.

ამავე საქმეზე ბრალი თავდაცვის ყოფილ მინისტრ მიქაელ არუთუნიანსა და დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის გენერალურ მდივან იური ხაჩატუროვსაც წაუყენეს.

არუთუნიანზე სომხეთმა ძებნა გამოაცხადა, ხოლო ხაჩატუროვი გირაოთი გაათავისუფლეს.

## კანადაში სროლის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა



კანადაში, ქალაქ ფრედერიკტონში, სროლის შედეგად 4 ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი პოლიცია ავრცელებს.

„ინციდენტის შედეგად ოთხი ადამიანი გარდაიცვალა. დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება მოკვლევის დასრულების შემდეგ“, – ნათქვამია პოლიციის განცხადებაში.

## ამერიკელები კოსმოსურ ჯარს ქმნიან



პენტაგონი კოსმოსური ჯარის ფორმირებას წარმატებით ახორციელებს. ამის თაობაზე აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა მაიკ პენსმა განაცხადა.

მან მაღალი შეფასება მისცა აშშ-ის თავდაცვის მინისტრის, გენერალ ჯეიმს მატისის საქმიანობას, რომელმაც მართლაც ტიტანური სამუშაო ჩაატარა.

– კოსმოსური ჯარის ფორმირება 2 წლის შემდეგ წარმატებით დასრულდება, – აცხადებს პენსი.

## ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა ახალი სამიტისთვის ემზადებიან



ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენლები ახალი სამიტის ჩატარებაზე შეთანხმდნენ.

სამიტი მიმდინარე წლის 13 აგვისტოს გაიმართება.

– ჩვენს ურთიერთობებში არსებული ყველა სადავო საკითხი უნდა გადაწყდეს, – ამბობს ჩრდილოეთ კორეის დიქტატორი კიმ ჩენ ინი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### კალეიდოსკოპი

## ძროხებმა გამტაცებელი პოლიციას ჩააბარეს



ამერიკის ფლორიდის შტატში ნახირი პოლიციელებს გამტაცებლის დაკავებაში დაეხმარა.

ექვმიტანილი პოლიციელებს მოპარული მანქანით გაურბოდა. საქესთან მჯდომმა ქალმა მანქანა დაამტვრია, შემდეგ გადმოხტა და მინდვრისკენ გაიქცა, სადაც ძროხები ბალახს ძოვდნენ. ამ ყველაფერს შერიფის შვეულმფრენი იღებდა.

გამტაცებელმა ქალბატონმა ცხოველების ყურადღება მიიპყრო და ისინი მისკენ წავიდნენ. ქალი შეეცადა, მათ გასცლოდა, მაგრამ ნახირი არ შეჩერდა.

– ძროხების ნახირი მისდევს მას, – გადასცეს შვეულმფრენიდან პოლიციელებს, – როგორც ჩანს, მასზე თავდასხმას აპირებენ.

საბოლოოდ ძროხებმა ქალი ღობესთან მიიმწყვდიეს, რომლის მახლობლადაც უკვე ელოდებოდნენ პოლიციელები. მისი დაკავების შემდეგ ქალს მთელი რიგი ბრალდებები წარედგინა, მათ შორის წინააღმდეგობის გაწევა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისთვის და ნარკოტიკების შენახვა. ასევე ბრალი წაუყენეს მის თანამზრახველსაც. ის პოლიციის ძაღლმა დააკავა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### სხვადასხვა

- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ტორპედო ალბანეთში კომფორტული ანგარიშით მიემგზავრება



**ტორპედო (საქართველო)-კუკეში (ალბანეთი)**
**5:2**
**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0, 2:0 კუხიანიძე (2, 15), 2:1 ჰარბა (21), 3:1 მარინი (28), 4:1 ქიმაძე (31), 5:1 კაპანაძე (86), 5:2 პლაკუ (87პ)

**ტორპედო:** კვასხვაძე, აზაცკი, დოლიძე (დაფე 72), გეგეჭკორი, ჰლინკა, ქიმაძე, კობახიძე (ხურცილავა 79), კუხიანიძე, ლაჩნი (კაპანაძე 67), მარინი, ცინცაძე

**კუკეში:** ფრაჩერი, გირბჯა (პლაკუ 64), ძარია (შკოდრა 64), ჰარბა, ჰოქსჰა, მუსოლი, ქაქი, რეჯინალდო, რუმბულაკუ, ჩამეტი, ვილიამი

5:2 ძალიან კომფორტული ანგარიშია, ისეთი, რომ ორმატჩიან დუელში პრობლემა არ უნდა შეიქმნას, თუმცა, საპასუხო მატჩში ქუთაისის ტორპედოს ყურადღებით თამაში მართებს, რაც პირველი შეხვედრის ბოლო წუთებმაც დაამტკიცა. პლუს, ალბანელებს საკუთარ მოედანზე დასაკარგი არაფერი ექნებათ. როგორი რთულია ალბანეთში თამაში, ეს სანაკრებო და საკლუბო დონეზეც გამოცდილი აქვთ ქართველ ფეხბურთელებს.

ამ შესავლის შემდეგ გეტყვით, რომ ევროპა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ტორპედომ ალბანური კუკეში დიდი ანგარიშით დაამარცხა და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად სერიოზული განაცხადი გააკეთა, მაგრამ, მხოლოდ განაცხადი – წინ 90 წუთია....

მატჩის წინ ალბანელებმა ერთი ამბავი ატეხეს, თანაც უეფას მიმართეს, ტორპედო ფეარ პლეის არ იცავს და ჩვენს ფეხბურთელებს ვიზები არ მისცაო, თითქოს ტორპედო საკონსულო ყოფილიყო. ამ განცხადების გამო უეფას დელეგატმა ალბანელები გააფრთხილა, ცოტა წესიერად ილაპარაკეთ და ფეხბურთს პოლიტიკაში ნუ აურევთ, თორემ სანქციები არ აგცდებათო.

ფეარ პლეის რა მოგახსენოთ, მაგრამ ტორპედომ რაც არ დაიცვა, ეს სტუმართმოყვარეობა იყო. მეტოქეს გვარიანი ანგარიშით მოუგო და ახლა თუ ახალი ველოსიპედი არ გამოიგონეს, წესით, ევროპის ლიგის ფლეი ოფის ბოლო სტადიაზე უნდა ითამაშოს, საიდანაც ჯგუფური ეტაპი ერთი ხელის გაწვდენაზეა.

ახლა თამაშზეც ვთქვათ: მატჩი მიხეილ მესხზე გაიმართა, რადგან ტორპედოელთა საშინაო არენა ქუთაისში უეფას მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ერთია, გულშემატკივართა დიდი რაოდენობა ტორპედოს თბილისში ვერ გამოჰყვა, ამიტომაც მატჩს 5.000 მაყურებელი თუ ესწრებოდა, მაგრამ მათ ნამდვილად არ უნანიათ.

მატჩი სანახაობრივი და უხვგოლიანი გამოდგა. ბოლოს როდის გაიტანა ქართულმა კლუბმა ევროთასებზე 5 გოლი, არც კი გვახსოვს.

შეხვედრა სტუმართა ხანგრძლივი შეტევით დაიწყო, რასაც ქუთათურთა ლამაზი კონტრშეტევა მოჰყვა – გიორგი ქიმაძემ კარგად შეაყოლა ბურთი ლაზარ მარინს, რომელმაც საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილი გიორგი კუხიანიძე მოძებნა და ტორპედოს ფლეიმეიკერმა ცაციათი ანგარიში გახსნა.

მე-15 წუთზე კუხიანიძემ დუბლი შეასრულა. შეტევა ისევ მარცხენა ფლანგიდან განვითარდა, ქიმაძემ საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ცენტრფორვარდის ადგილზე „კუხი“ გაჩნდა, მცველებს დაასწრო და ამჯერად მარჯვენა ფეხით გაუტანა მეტოქეს.

გოლებს შორის კუხიანიძეს შეეძლო, საგოლე პასი ჩაეწერა აქტივში, მაგრამ ლევან გეგეჭკორმა ვერ გაიტანა. ქუთაისელთა 10-იანმა საგოლე პასი მაინც ჩაიწერა აქტივში, როდესაც მარინი გრძელი გადაცემით შეატოვა მეკარეს პირისპირ. ბულგარელი მცველიც შესანიშნავად გაისარჯა და მესამე გოლის ავტორი გახდა. თუმცა, მანამდე ალბანელებმაც გაგვიტანეს – ჰარბას საჯარიმოში ჩაწოდება უნდოდა, მაგრამ კარში დარტყმა გამოუვიდა, როინ კვასხვაძეც ბურთს ვერ მისწვდა. ლამაზი გოლი გამოდგა...

ინიციატივას ქუთაისელები ფლობდნენ, ტექნიკურად უკეთესად ირჯებოდნენ და ალბათ ლოგიკურიც იყო მე-4 გოლი, რომლის ავტორი ქიმაძე გახდა – ქუთაისელთა მარცხენაფლანგელმა კუთხურიდან მცველების უხეიროდ მოგერიებულ ბურთს ფეხი ჰაერშივე შეაგება და მიწაზე დაუშვებლად გადაგზავნა ფრაჩერის კარის ცხრიანში.

შესვენების შემდეგ ტორპედომ სტრატეგია შეცვალა, თამაში დააწყნარა, მეტოქის შეცდომას ელოდებოდა და მიეცა კიდევაც შანსი, მაგრამ მე-60 წუთზე მილოშ ლაჩნიმ ახლო მანძილიდან თითქმის დაუცველ კარში გადაგზავნის ნაცვლად ბურთი ხარიხას გაარტყა. ტორპედოს კიდევ ჰქონდა რამდენიმე შანსი, მაგრამ 86-ე წუთამდე ვერ გაიტანა. მატჩის მიწურულს თორნიკე კაპანაძე მოხერხებულად დაუსხლტა მცველებს და მეკარესთან პირისპირ გასულმა მეხუთედ დაამწუხრა ალბანელთა მეკარე – 5:1.

თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ კაპანაძის გოლიდან 2 წუთში მსაჯმა ქუთაისელთა კარში პენალტი დანიშნა და პლაკუმ ანგარიშის სხვაობის შემცირებასთან ერთად კუკეშს შანსი დაუტოვა.

ასეა თუ ისე, ტორპედომ თავისი ამოცანა შეასრულა და ალბანეთში სამბურთიანი ფორით მიემგზავრება.

# უსმან დემბელე — ბარსას მომავლის იმედი

ყველაფერი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ახალგაზრდა ვუნდერკინდი, ფრანგი უსმან დემბელე რენის ღირსებას იცავდა. ფეხბურთელი, რომელმაც მალევე მიიქცია გრანდთა ყურადღება, მალევე მოექცა პრესის ყურადღების ქვეშ, ნაწილობრივ მისი თამაშის მაღალი ხარისხის გამო, ნაწილობრივ კი იმ ინტერვიუს, რომელსაც ალბათ წლების შემდეგაც გაიხსენებენ, რომელშიც დემბელე ჟურნალისტს უხსნის, რომ მემარცხენეა, თუმცა პენალტებს მარჯვენა ფეხით ასრულებს, რადგან მარჯვენა ფეხით უკეთ ურტყამს.

მალევე დემბელემ კიდევ ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი საოცნებო კლუბი ბარსელონაა. ამ ყველაფერმა კი გასული წლის ზაფხულში მის ტრანსფერში გადამწყვეტი როლიც შეასრულა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დემბელე მალევე მოექცა გრანდების ყურადღების ქვეშ. მათ შორის ბარსელონაც იყო, მისი საოცნებო კლუბი, რომლის სპორტული დირექტორის, რობერტ ფერნანდესისთვის დემბელე ფავორიტ ახალგაზრდა ტალანტად იქცა.

მაშინ ბარსელონის შეტევას ჯერ კიდევ მრისხანე ტრიო – მესი, სუარესი, ნეიმარი ამშვენებდა და სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ტრანსფერი 2 წლის წინ არ შედგა. დემბელემ გადაწყვიტა, რომ მისი განვითარებისთვის აღნიშნული 3 ფორვარდის სათადარიგო ვარიანტად ყოფნაზე უკეთესი მუდმივ შემადგენლობაში გარანტირებული ადგილი იქნებოდა და საბოლოოდ დორტმუნდის ბორუსიაში წასვლა გადაწყვიტა.

ბუნდესლიგის საუკეთესო ახალგაზრდა, ბუნდესლიგის საუკეთესო ახალწვეული – ასეთია მისი მონაგარი გერმანიის მთავარ დივიზიონში. დორტმუნდელთა მაისურით ჩატარებული 49 თამაში, 10 გოლი და 21 საგოლე პასი და ეს ყველაფერი 19 წლის ასაკში! ცხადია, ყველას ესმის, რომ თანამედროვე ფეხბურთში თითქმის ყველა ფეხბურთელში გადახდილი თანხა გადაჭარბებულია და ეს სპორტი ამ მხრივ სერიოზულ რეფორმებს საჭიროებს, თუმცა, კიდევ ვინმეს აქვს კითხვები, თუ რატომ აირჩია ბარსელონამ დემბელე?

რა თქმა უნდა, ყველას ახსოვს ბარსელონისთვის საკმაოდ მძიმე დრო, როცა ივლისში ნეიმარის პარი სენ-ჟერმენში გადასვლასთან დაკავშირებულმა ჭორებმა სერიოზული სახე მიიღო, მალე ტრანსფერი კიდეც გაოფიციალურდა და, ბევრის აზრით, კატალონიელთა დალმასვლა დაიწყო. ამ აზრის გავრცელებას ესპანეთის სუპერ თასზე „ელ კლასიკოში“ ორმა წაგებამაც შეუწყო ხელი.

აგვისტოს მიწურულს ჟოსეპ მარია ბართომეუმ თავად გადაწყვიტა ტრანსფერის დასრულება და დემბელე 105 მილიონი ევროს სანაცვლოდ „ბლაუგრანას“ ახალი 11 ნომერი გახდა.

მოგეხსენებათ, რაოდენ დიდი წნეხის ქვეშ უწევდა 20 წლის დემბელეს თამაში. ეს მაშინ, როცა მისგან ყველა ნეიმარის მიერ დატოვებული სიცარიელის ამოვსებას ელოდა. უდავოა, რომ ასეთ პირობებში ადაპტაცია, შეგუება და გუნდთან შეთამაშება, ასევე სითამამის მოპოვება – ანუ ყველაფერი ის, რაც ფეხბურთელს საკუთარი თამაშის ჩვენებასა და ახალ გუნდში საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცებაში ეხმარება, ბევრად გართულდა.




ამას დაემატა 16 სექტემბრის ავბედითი დღე უსმან დემბელესთვის – ხეტაფესთან მატჩში მან საკმაოდ მძიმე დაზიანება მიიღო და სამთვე-ნახევარი გამოტოვა. დემბელე სელტასთან მატჩში 4 იანვარს დაბრუნდა და რამდენიმე თამაშშიც მიიღო მონაწილეობა, თუმცა სრულად არც ერთი მათგანი არ უთამაშია. ასე მოვედით 15 იანვრამდე, როდესაც ცნობილი გახდა, რომ დემბელემ კიდევ ერთი, ამჯერად უფრო მსუბუქი ტრავმა მიიღო და 3-4 კვირა გაუცდება.

ცხადია, ყველას ესმის, თუ რატომაა ეს დაზიანება უბრალოდ 3-კვირიან ტრავმაზე მძიმე და რთული დემბელესთვის. ფეხბურთელი, რომელშიც ძალიან დიდი ავანსებია გაცემული და რომელსაც ჯერ გოლის გატანის შანსიც კი არ მისცემია, ლაზარეთშია. თუმცა, ფრანგი მალევე დაბრუნდა და დაბრუნდა შედეგიანად.

გულშემატკივართა უმრავლესობა კი უკვე დემბელეს მარკო როისის ტიპის ფეხბურთელად აღიქვამს და მასში გადახდილი მილიონებიც გადაყრილად ეჩვენება. ამ ყველაფრის ირგვლივ ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება.

აქ შეგვიძლია, ერთი ფაქტი მოვიშველიოთ, ის მარტივი ფაქტი, რომ დემბელეს ბარსელონამდე პროფესიონალურ კარიერაში ტრავმა არ მიუღია. ალბათ იმაშიც დამეთანხმებით, რომ 19 წლის ბიჭისთვის სეზონში 49 ჩატარებული მატჩი ტრავმისკენ მიდრეკილი ფეხბურთელის შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს.

კიდევ უფრო შორეულ წარსულში გადავიდეთ და გავიხსენოთ ლიონელ მესის გზა თინეიჯერი ვარსკვლავობიდან მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელობამდე.

დღეს 169 სანტიმეტრის სიმაღლის ლიონელ მესი ერთ-ერთი ყველაზე რთულად დასაჩაგრი ფეხბურთელია. ყოველ თამაშში მას უწევს იმდენ უხეშ ფიზიკურ ორთაბრძოლაში შესვლა, რამდენიც, შესაძლოა – არავის.

ბევრ გულშემატკივარს ემახსოვრება, რომ ლიონელი ყოველთვის ასეთი არ ყოფილა. თითქმის ყველამ იცის, რამდენად რთული იყო მისთვის სიმაღლეში გაზრდაც კი. რაოდენ რთული იყო ოჯახთან, საყვარელ ადამიანებთან განშორება და 13 წლის ასაკში არგენტინიდან ესპანეთში საცხოვრებლად გადასვლა.

არანაკლებ რთული იყო სამხრეთამერიკელის კარიერის საწყისი ნაბიჯები. 2006 წლის 7 მარტს ჩელსისთან შეხვედრაში მან კუნთის მძიმე ტრავმა მიიღო, რამაც ფეხბურთელს 2 თვეზე მეტი და მისი კარიერის პირველი უმნიშვნელოვანესი მატჩი გამოატოვებინა – 17 მაისს პარიზში ბარსელონას არსენალის წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაში არგენტინელი ვუნდერკინდის გარეშე მოუწია (2:1).

როგორც ვხედავთ, კარიერის სტარტზე ამ მხრივ ლეო მესი საკმაოდ უიღბლო ფეხბურთელი იყო. ახლა კი ნამდვილად ვერავინ იტყვის, რომ მესი ტრავმებისკენ მიდრეკილი ფეხბურთელია. 30 წლის ასაკშიც, ყველამ იცის, რაოდენ რთულია მისი წაქცევაც კი და მით უმეტეს, ტრავმით დაზიანება.

ამ სტატიაში ნეიმარის ხსენება მხოლოდ ტრანსფერის კუთხით არ მოგვიწევს. მოდით, ბრაზილიელის კატალონიური კარიერის სტარტიც გავიხსენოთ.

ნეიმარი ერთ-ერთი ბრაზილიელი ტალანტი იყო, რომელთა რაოდენობასაც ეს ქვეყანა ნამდვილად არ უჩივის, თუმცა, ბევრი სხვისგან განსხვავებით, ნეიმარმა მასზე გაცემული ავანსები გაამართლა და კატალონიელებთან ერთად 4 წელიწადში 9 ტიტული მოიგო.

დემბელესთან პარალელის გავლება მთლად უსაფუძვლო არ იქნება. პირველი ტრავმა ნეიმარმაც ხეტაფესთან მიიღო, თუმცა მათ შორის გარკვეული განსხვავებებიც არის. დემბელეს შედარებით ახალგაზრდულ ასაკში გაცილებით დიდი ევროპული გამოცდილება აქვს, ვიდრე ნეიმარს ჰქონდა, როცა ბარსელონამ შეიძინა.

ამას დამატებული, ბევრ გულშემატკივარს ემახსოვრება ნეიმარის ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები. ფიზიკურ სისუსტეს ანემიაც დაერთო, რამაც მასზე დიდი გავლენა იქონია და პირველ სეზონში მისი საკმაოდ ცუდი შედეგიანობა გამოიწვია.

როგორც ვხედავთ, ყველა მხრივ ნეიმარის „ბარსელონური“ დასაწყისი გაცილებით დიდ კითხვის ნიშნებს ტოვებდა, ვიდრე უსმან დემბელესი. და ვინ არის ის დღეს?

ერთ დროს ბრაზილიელი ტალანტი ახლა უკვე ჩამოყალიბებული სუპერ-ვარსკვლავია, მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი და ამჟამად მსოფლიოს 3 საუკეთესო ფეხბურთელიდან ერთ-ერთი.

ამ სტატიაში მოყვანილი მაგალითები, ვფიქრობ, საკმარისია მხოლოდ იმისთვის მაინც, რომ დემბელეს კარიერას ხაზი არ გადავუსვათ. გაიხსენეთ რამდენიმე თვის წინანდელი მატჩი სელტას წინააღმდეგ და აღფრთოვანებული, თითქმის უკვე ინტერესდაკარგულ მატჩში გამოფხიზლებული „კამპ ნოუ“. ისღა დაგვრჩენია, მცირედი მოთმინებაც ვიქონიოთ და ვაცადოთ დროსა და დემბელეს იმის ჩვენება, თუ რატომ არის ფრანგი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ბასტიან შვაინშტაიგერი: „ძალიან მხიბლავს ამერიკაში თამაში“



მას შემდეგ, რაც ბასტიან შვაინშტაიგერმა მიუნხენის ბაიერნის რიგები დატოვა, 3 წელი გავიდა. ამჟამად გერმანელი ნახევარმცველი საკუთარ საფეხბურთო კარიერას ამერიკის შეერთებულ შტატებში აგრძელებს და ჩიკაგო ფაერის ღირსებას იცავს.

***— ბასტიან, უკვე მეორე წელია, რაც ჩიკაგო ფაერის შემადგენლობაში ასპარეზობთ. გვითხარით, როგორ ვითარდება ფეხბურთი ამერიკაში?***

— უმაღლესი საფეხბურთო ლიგა უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება. აქ თამაშობენ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან ზლატან იბრაჰიმოვიჩი და უეინ რუნი. ვფიქრობ, მომავალში კიდევ უფრო მეტ ცნობილ ფეხბურთელს ვიხილავთ. ფინანსური თვალსაზრისითაც ამერიკის ჩემპიონატი მოწინავე რიგებშია, თამაშებზე, გულშემატკივართა დასწრების მაჩვენებელი კი გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს იტალიაში ან თუნდაც საფრანგეთშია. სტადიონებზე მუდმივად პოზიტიური ატმოსფერო სუფევს. აქ ადამიანები ოჯახებთან ერთად მოდიან მატჩებზე დასასწრებად და მაქსიმალურად ერთობიან. მე, როგორც მოთამაშეს, ძალიან მხიბლავს აქ ასპარეზობა.

***— 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ამერიკაში, კანადასა და მექსიკაში გაიმართება. ალბათ ეს კიდევ უფრო პოპულარულს ხდის ამერიკაში ფეხბურთს.***

— დიახ, ცალსახად ასეა. ამერიკას შეუძლია დაუმტკიცოს დანარჩენ მსოფლიოს, რომ აქ ფეხბურთი კიდევ უფრო პოპულარული გახდა. დარწმუნებული ვარ, გუნდები რვა წლის შემდეგ შესანიშნავ ატმოსფეროს შეიგრძნობენ.

***— რა მნიშვნელობის მატარებელია თქვენთვის საერთაშორისო სათასო ჩემპიონატი, რომელიც ამერიკელი მილიარდერის, სტივ როსისა და მისი კომპანიის პატრონაჟით მიმდინარეობს. ადევნებთ თვალს აღნიშნული ეგიდით გამართულ მატჩებს?***

— ამერიკაში ამ ტურნირს დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს. ადამიანები ძალიან გახარებული არიან, რომ წამყვანი ევროპული კლუბები აქ ჩამოდიან. ამ დროს სტადიონებზე სრული ანშლაგია და ბრწყინვალე ატმოსფეროც სუფევს. შეხვედრებს პირდაპირი ტრანსლაციის რეჟიმში გადასცემენ. მეც, თავისუფალი დროის არსებობის შემთხვევაში, ვუყურებ აღნიშნულ მატჩებს.

***— როგორ შეაფასებდით ბოლო წლების განმავლობაში მიუნხენის ბაიერნის აქტივობას ისეთ საფეხბურთო ბაზარზე, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატები ან ჩინეთია?***

— ეს გზა 100 პროცენტით გამართლებულია. ამერიკა უდიდესი ბაზარია. ჩიკაგო სპორტული ქალაქია, აქ ადამიანები სპორტით ცხოვრობენ და მაშინ, როდესაც ქვეყანას ბაიერნი სტუმრობს, ხალხის ერთგვარი მობილიზაციაც შეინიშნება.

***— როგორია ბაიერნის რეიტინგი ამერიკის შეერთებულ შტატებში?***

— მიუნხენური კლუბის მიმართ ინტერესი ძალიან დიდია. რა თქმა უნდა, ინგლისური გუნდები პოპულარობის მხრივ წინ არიან, მაგრამ ამას თავისი ახსნა აქვს. პრემიერლიგის მატჩებს აქ განსაკუთრებული სიხშირით აშუქებენ, თუმცა, გარკვეული დოზით, მიუნხენის ბაიერნის შეხვედრების ტრანსლირებაც ხდება.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## შიშველმა კაპიტანმა ტუალეტის კედელი გაანგრია და თავი გაითავისუფლა



ბრიტანეთის არმიის კაპიტანს სასჯელი ემუქრება ტუალეტის დანგრევისთვის, სადაც ის ხელქვეითებმა ჩაკეტეს.

ოფიცერს ოფიციალური ცერემონიის დასრულებისას გამართულ სადილზე სასმელის უხვად მიღების შემდეგ მკვდარივით ჩაეძინა. სანამ ეძინა, მისმა ხელქვეითმა სამხედრო მოსამსახურეებმა გაძაწყვიტეს, გაემასხარავებინათ. ის გააშიშვლეს, ყაზარმის ტუალეტში გადაიყვანეს და იქ ჩაკეტეს.

კაპიტანს ექვსი საათის შემდეგ გამოეღვიძა და აღმოაჩინა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მან კარზე ბრახუნი და ყვირილი დაიწყო და ითხოვდა, იქიდან გამოეშვათ. ამაზე ხელქვეითებმა უპასუხეს, რომ ტუალეტიდან მხოლოდ მას შემდეგ გამოუშვებდნენ, რაც მათ ანაზღაურებას გაუზრდიდა.

ამის შემდეგ გააფთრებულმა და ჯერ ისევ ნასვამმა ოფიცერმა უნიტაზი დაამტვრია, ლითონის სახელური მოგლიჯა და ტუალეტის კედლის დანგრევა დაიწყო. მალე კედელში გაჩნდა ხვრელი. შემდეგ კაპიტანმა ის კიდევ უფრო გააფართოვა და ტუალეტიდან გამოსვლა მოახერხა.

ვინაიდან წესდება ალკოჰოლის მიღებას კრძალავს, მას მსხვილი ჯარიმა ელოდება, გარდა ამისა, სავარაუდოდ, ზარალის ანაზღაურებაც მოუწევს.

## თავგასულმა ნიანგებმა სოფლის მცხოვრებლები სახლებიდან გამოყარეს

უგანდაში, ტბა ვიქტორიაზე მდებარე კუნძულზე მეთევზეთა სოფლის მცხოვრებლები იძულებულნი არიან, საკუთარი სახლები მიატოვონ და ამის მიზეზი ნიანგების შემოსევაა.

ერთ-ერთი სოფლის მცხოვრების თქმით, ისინი შიშობენ, ვინაიდან საკვების ძებნაში ნიანგებმა მათ სახლებში შესვლა დაიწყეს. ის თავად გახდა რეპტილიის თავდასხმის ობიექტი, როდესაც საკუთარ ბოსტანში შრომობდა.



მეორე მცხოვრების თქმით კი უკვე უამრავი სახლია მიტოვებული.

— მათი მფლობელები ან სხვაგან გადავიდნენ საცხოვრებლად, ან ნიანგებმა შეჭამეს, — ამტკიცებს სოფლის მკვიდრი.

კიდევ უფრო სახიფათოა ნაპირთან მიახლოება. ნიანგები თავს ესხმიან როგორც მეთევზეებს, ისე ბავშვებსა და ქალებს, რომლებიც ტბაზე წყლისთვის მიდიან. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უამრავი ადამიანია დაღუპული, მათ შორის, შვიდი მოსწავლე, მრავალი შემთხვევა კი ოფიციალურად არ რეგისტრირდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 11 აგვისტოსთვის



**ვერძი** — გეგმები გეცვლებათ, რაც ოჯახურ პრობლემებს უკავშირდება. აუცილებლობის შემთხვევაში დახმარება მეგობრებს სთხოვეთ. **კურო** — საკუთარი შესაძლებლობები ადეკვატურად შეაფასეთ. დრო რაციონალურად გაანაწილეთ. **ტყუპები** — სულიერი ფასეულობები დაიცავით. საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას დიდსულოვნება და ტაქტი გამოიჩინეთ. **კირჩხიბი** — ნებისმიერი საქმიანობისას წარმატება თან გდევთ. შექმნილი პრობლემები მეგობრებთან განიხილეთ. **ლომი** — ვარსკვლავები გაფრთხილებენ, ჯანმრთელობა უყურადღებოდ არ დატოვოთ. კვების რეჟიმი მაქსიმალურად დაიცავით. **ქალწული** — დამატებით ვალდებულებებს საკუთარ თავზე ნუ აიღებთ. მხოლოდ აუცილებელი საქმით შემოიფარგლეთ. **სასწორი** — ჰარმონიული დღეა. თავს თავისუფლად, ლაღად გრძნობთ. შესაფერისი პერიოდია ახალი საქმის დასაწყებად. **ღრიანკალი** — ეჭვიანობა და უნდობლობა საქმიან კონტაქტებს დაამუხრუჭებს. იყავით მობილიზებული. **მშვილდოსანი** — ცოდნის არეალის გაფართოება სასურველ შედეგს გამოიღებს. რისკი გაუმართლებელია. **თხის რქა** — კრიტიკა ახლობლებისაგან მიიღეთ და შეცდომების გამოსწორებაზე იფიქრეთ. წინდაუხედაობა დაგაზარალებთ. **მერწყული** — კრიტიკული დღეა. კომერციული საქმიანობა დაუშვებელია. მოსალოდნელია პროვოკაცია გარშემომყოფებისაგან. **თევზები** — ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის დიდი ძალისხმევა არ დაგჭირდებათ. პლანეტები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილი არიან.

## 12 აგვისტოსთვის

**ვერძი** — ნებისმიერი საქმიანობა კრახით დამთავრდება. ეჭვიანობას სკანდალი მოჰყვება. დაიოკეთ ემოციები და ნუ იაქტიურებთ. **კურო** — დაწყებული საქმე უთუოდ დაამთავრეთ. ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნეთ. ნუ იწუწუნებთ. **ტყუპები** — მძიმე დღეა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისთანავე ექიმს მიმართეთ. **კირჩხიბი** — დღეს, უმჯობესია, განმარტოვდეთ, დაისვენოთ. თავი შეიკავეთ სტუმრების მიღებისაგან. **ლომი** — პირად ურთიერთობებში მნიშვნელოვანია საკუთარი თავის რწმენა. ნუ იქნებით ეჭვიანი. პარტნიორს თავისუფლებას ნუ შეუზღუდავთ. **ქალწული** — ფიზიკური დატვირთვა დღეს დაუშვებელია. კარგი იქნება, თუ კვების რეჟიმს დაიცავთ. **სასწორი** — კომერციული საქმიანობა, საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. საყვარელ ადამიანს ნუ აწყენინებთ. **ღრიანკალი** — იყავით თავდაჯერებული. საქმე თამამად აკეთეთ. ბედი გწყალობთ. **მშვილდოსანი** — გადახედეთ გარშემომყოფებთან ურთიერთობებს. ნუ იქნებით მეტისმეტად მიმნდობი. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. **თხის რქა** — სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. საკუთარი პრინციპები დაიცავით, მაგრამ სხვების ინტერესებსაც ნუ შებღალავთ. **მერწყული** — სახლში დიდხანს ნუ დარჩებით. დღეს ბუნების წიაღში დასვენება გარგებთ. გაიფართოვეთ ცოდნის არეალი. **თევზები** — კარგ ხასიათზე ხართ, რაც თქვენს შრომის ნაყოფიერებაზეც აისახება. გარშემომყოფები სითბოსა და სიყვარულს უხვად გჩუქნიან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## ობობის მიერ შეშინებული ქალი გაშიშვლდა და გაიქცა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ სენტ-პეტერსბერგში დააკავეს შიშველი ქალი, რომელიც უზარმაზარ ობობას გაურბოდა.

40 წლის დანიელე ტიპლზი პარკში შიშველი მორბენალი შენიშნეს. სირბილის დროს ის თმებს იჩეჩდა და მკერდს იფერთხავდა. ქუჩაში მიმავალი ავტომობილების მძღოლები უჩვეულო სანახაობის შემჩნევის შემდეგ მანქანას აჩერებდნენ და ასიგნალებდნენ.

როდესაც პოლიციელებმა მოახერხეს, ტიპლზს დასწეოდნენ და შეეჩერებინათ, ის მაშინვე არ დათანხმდა ტანსაცმლის ჩაცმაზე. მან განმარტა, რომ საკუთარ სხეულზე უზარმაზარი ობობა შენიშნა, ტანსაცმელი გაიძრო და გაიქცა, რათა მისგან თავი გადაერჩინა. მან აღიარა, რომ მცირე ხნის წინ მიიღო კრეკ-კოკაინი, სპაისი და მეტამფეტამინი.

ქალი დააპატიმრეს და საზოგადოებრივ ადგილას სასქესო ორგანოების გაშიშვლებაში დაადანაშაულეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მდინარე ნიუ იორკში; 2. ჩინური ნავთობკომპანია; 3. თანამედროვე ქართველი თეატრალური რეჟისორი; 4. თხრობითი ხასიათის პოეტური ქმნილება; 5. წრეხაზის ცენტრზე გამავალი ორი წერტილის შემაერთებელი სწორი ხაზი; 8. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 12. კატარის დედაქალაქი; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 14. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 16. მდგომარეობა კრივში; 18. ქართული მოკლე, უვადო ხმალი; 20. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი.

**თარაზულად:** 6. მოკარნახე თეატრში; 7. სპეციალური წესით შედგენილი სამუზეუმო ექსპონატების ჩამონათვალი; 8. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 10. მეცნიერული ნაშრომის მოკლე წერილობითი გადმოცემა; 11. ყოველდღიური გაზეთი ბრიტანეთში; 15. შტატი აშშ-ში; 17. სომხური ცეკვა; 19. სოხუმის ძველბერძნული სახელწოდება; 21. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. ძველებური ცხენებშებმული მრავალადგილიანი სამგზავრო-საფოსტო კარეტა; 23. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. დუომო; 2. ანანდი; 4. ალბიონი; 5. აბულია; 6. დინამიკა; 7. ბილფელდი; 10. ვისკი; 12. ამბიცია; 13. ბასკეთი; 16. დიჟონი; 17. ბურნაკუ; 18. მარუხი; 19. პერონი; 21. იუნგა.

**თარაზულად**: 3. გურჯაანი; 8. ბინომი; 9. ბენილუქსი; 11. სიზიფე; 12. არიანი; 14. კაბუკი; 15. ალავერდი; 20. ილიონი; 22. ქებურია; 23. თექა; 24. ანეროიდი; 25. დოლი; 26. ჯოკერი; 27. კირხე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პრატერი; 2. ყაბალახი; 3. ზენიტი; 4. ხუნდი; 5. ბიპოლიდი; 8. შუშაბანდი; 12. ელბა; 13. ფლამინგო; 14. ფრახტი; 16. ტავერნა; 18. კარნე; 20. ტატა.

**თარაზულად**: 6. ერისტიკა; 7. ფრეჟიუსი; 8. შირაქი; 9. მენიუ; 10. სალონიკი; 11. ბუდეშური; 15. ალმადოვარი; 17. კამენა; 19. ტრიტიკალე; 21. სნუკერი; 22. მონორელსი; 23. ლაქტოზა.

# ზურა ყიფშიძე 65 წლის გახდა

მსახიობი ზურა ყიფშიძე 65 წლის გახდა. ხელოვანი ამ დრომდე თავის საყვარელ საქმეს ემსახურება და კინომსახიობთა თეატრში მუშაობს. ზურა გეწაძის მიერ დადგმული სპექტაკლი „მეფე ლირი“, სადაც იუბილარი მთავარ როლს ასრულებს, ანშლაგებით მიდის.

თეატრის პარალელურად, ზურა ყიფშიძე ტელევიზიაშიც მუშაობს და საზოგადოებრივი არხის ეთერში გადაცემა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ მიჰყავს, რომელიც მაყურებელს ქართველი ხელოვანების შესახებ საინტერესო ისტორიებს უყვება.

**განვლილ 65 წელს კი იუბილარი მსახიობი ასე აფასებს:**

– ახალგაზრდობაში არატრადიციული ვიყავი. ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი ტრადიციებს, რატომღაც მეგონა, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. პროტესტი ძლიერი მქონდა. დეიდებს ყოველთვის დავყავდი სიმფონიურ კონცერტებზე, ოპერაში, თეატრში, რაც არ მომწონდა. მაგრამ ამ საქმემ დადებითად იმოქმედა ჩემზე. ახლა დიდ მადლობას ვუხდი იმათ, რადგან შემიძლია ჯაზთან ერთად კლასიკური მუსიკის მოსმენა.





ჩემს ახალგაზრდობაში გამოჩნდნენ „ბიტლზები“, რომლებმაც მთელი მსოფლიო დაიპყრეს, მათ შორის ჩვენც. კარგად მახსოვს, მათ ყველაფრით ვბაძავდით: თმებით, ჩაცმის სტილით, გვიან მივხვდი, თუ რა ფილოსოფია იდო მათ მუსიკაში. დახეული ჯინსებით და გრძელი თმებით სიარულს ვინ გაბედავდა? ჯინსებზე ციხე იყო. ვისაც ჯინსი ეცვა, ყველას იჭერდნენ. თმებზე აღარ ვსაუბრობ.

თემურ ჩიხლაძე (თვითმფრინავის გატაცების ამბავზე რომ დახვრიტეს) ჯერ ჰიპი იყო, ჩვენ, ბიჭები მისი შეგირდები ვიყავით ჰიპობაში. სახლში ყველა გადავრიე. მერე თემური მღვდელი გახდა და ჩვენც მას მივბაძეთ. ბიბლიას ვკითხულობდი, ზოგიერთი რამ მესმოდა, ზოგი არა, მაგრამ მაინც ვკითხულობდი. მერე სასწავლებლად მოსკოვში წავედი და მას დავშორდი.

იქ ვისწავლე დამოუკიდებლობა. თბილისში სულ ქალებში ვიზრდებოდი, 2 დეიდა მზრდიდა, დედა დაკავებული იყო თეატრით, კინოთი, მამას სხვა ოჯახი ჰქონდა, ამიტომ გარს დეიდები მეხვივნენ. საშუალო სკოლა ექსტერნად დავამთავრე, სკოლაში არ მივლია, რამდენიმე სკოლა მოვიარე, ბოლოს 39-ე საშუალო სკოლა დამამთავრებინეს.

მოსკოვში მარტო რომ დავრჩი, ჩემი თავის რწმენა ვისწავლე. მაგრამ მშობლებს მაინც მივმართავდი დახმარებისთვის. ერთხელ მწვანე ფერის „06“ გამოვიყვანე, სხვა ფერი არ იყო მიღებული, არც 3 თვე დაველოდე ახალ პარტიას, დედაჩემი წავიყვანე ნომრის ასარჩევად, არეული ნომრები მინდოდა. დედა წავიყვანე გლდანში, შევიდა შენობაში და 2 საათი აღარ გამოვიდა. შემეშინდა, ხომ არაფერი მოუვიდა-მეთქი, ავდექი და მეც შევედი. რას ვხედავ, ინსპექტორი ლენას კონცერტს უტარებს. თურმე ის კაცი, ვინც ნომრებს იძლევა, მთელი ცხოვრება მსახიობობაზე ოცნებობდა, დედაჩემი რომ დაუნახია, გადარეულა, რაც იცოდა და არ იცოდა, ყველაფერი იმღერა და იცეკვა, ძლივს გამოვიყვანე შენობიდან. დედა მოიხიბლა ამ კაცის ნიჭით, მიშა ჯოჯუას ადარებდა. ბოლოს ვკითხე: ნომრები მოგცა-მეთქი? ლენამ მითხრა, არაო, თქვენს შვილს იგივე ნომრები დარჩებაო. ჩემი ნომერი იყო 96-66. ასე დამეხმარა დედაჩემი. მაგრამ გაყიდვის დროს ვიღაც კაცს ნომერი მოეწონა და ასე გავყიდე ის მანქანა.

რაც შეეხება მამას, 15 წლის ვიყავი, როცა გავიგე, ვინ იყო მამაჩემი. სოფელში ყველას ეროსი მანჯგალაძის შვილი ვეგონე. მერე დედა დავსვი და სიმართლე ვათქმევინე. ლენამ მითხრა, რომ მამაჩემი მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ავთანდილ ვერულეიშვილი იყო. მას ჰყავდა უფროსი ვაჟი ზურიკო, რომელიც ჩემზე 9 წლით უფროსი იყო. ჩემი ძმა პროფესიით ინჟინერი იყო, სამწუხაროდ, გარდამეცვალა.



ძალიან დავმეგობრდით მე და მამაჩემის ოჯახი. მამაჩემის მეუღლემ იმდენი რამე იცოდა, ზოგჯერ დედაჩემმა არ იცოდა, მოსკოვში რამდენჯერმე მილიციიდანაც დავუხსნივარ. მამა ბუნებით თავმდაბალი კაცი მყავდა. ძალიან დავმეგობრდით, ერთხელ მოსკოვში ჩამომაკითხა. იმ პერიოდში ჯარში მივყავდი, ჩვენებმა საჩივრის წერილი გამოაგზავნეს მოსკოვში, თბილისში 2-ჯერ გაირიცხა ინსტიტუტიდან და მანდ ხუთებზე როგორ სწავლობსო, ან ჯარში რატომ არ მიგყავთო. მამა საშველად ჩამოვიდა, მაგრამ რუსული არ იცოდა.

ჯარიდან გერასიმოვმა დამიხსნა. ჯარში რომ არ წავსულიყავი, 2 თვე საგიჟეთში ვიწექი. მეგონა, გიჟის როლი უნდა მეთამაშა, თურმე ჭკვიანი გიჟი უნდა ვყოფილიყავი. მამა ვერ დამეხმარა, მაგრამ ბოლომდე ჩემ გვერდით იდგა. თუ ადამიანს პატივისცემა არა გაქვს მამის და დედის მიმართ, მადლიერების გრძნობა, ის ადამიანი არ არის. ცხოვრებაში მთავარი ზნეობაა და ზრდილობა. ყველაფერი იწყება და მთავრდება ზრდილობით და ზნეობით.

ჩვენ დღეს შემეცნებითი ტრადიციები გვაკლია. ნელ-ნელა სულიერებას ვშორდებით და ადამიანის სახეს ვკარგავთ. თუმცა, ყველა სახის ტრადიციები დარღვეულია, მათ შორის, სუფრის. ადრე ქართულ სუფრას მართლა სუფრის აკადემია ერქვა, დღეს კი ღრეობა და ზნედაცემულობა ჰქვია. ძველად ყველაფერს თავისი ადათი და წესი ჰქონდა. ყველა სვამდა, ქეიფობდა, მაგრამ ლოთი არავინ არ ყოფილა. ჩვენ 1992 წლის შემდეგ ლოთები მოგვიმრავლდნენ. მიუღებელი იყო, კულტურული ადამიანი სუფრიდან გამძღარი ან გალეწილი მთვრალი ამდგარიყო. ეს მისთვის დიდი სირცხვილი იქნებოდა. სუფრიდან ამდგარ ნასვამ კაცს ქალები რომ წაიყვანდნენ, მას თავი ექნებოდა მოსაკლავი.

ერთხელ მურმან ჯინორიას ქორწილში, რომელსაც სამეგრელოში იხდიდა, თამადად დანიშნეს ადამიანი, რომელიც ქართული სუფრის გაგებაში არ იყო, არც იუმორი ჰქონდა და არც სმენა, მაგრამ ბევრს სვამდა. ამ კაცმა სუფრის წაყვანა დედის გინებით დაიწყო, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ვერაფერს გააწყობდა. ბოლოს იმდენი დალია, რომ გაითიშა, სუფრას კი მისი მოადგილე, ეროსი მანჯგალაძე ჩაუდგა, რომელმაც ეშხი და ლაზათი შესძინა. ბედნიერება მხვდა წილად, ეროსი მანჯგალაძის გვერდით რომ ვიყავი.

ძველად ქუჩასაც სხვა გაგება ჰქონდა. თუმცა, იქაც ხდებოდა ბევრი უსამართლობა. იარაღს არავინ ატარებდა, მე დანასაც კი არ ვატარებდი. ადრე ქუჩაში ადამიანი ვაჟკაცდებოდა, კაცობას და მეგობრობას სწავლობდა. უფროსს პატივს სცემდა. ადრე უფროსი უმცროსს სიგარეტზე რომ გააგზავნიდა, ეს სირცხვილი და დამცირება კი არ იყო, არამედ – პატივისცემა. დღეს ამის გულისთვის შეიძლება ერთმანეთი დახოცონ. დღეს ქუჩა დაუნდობელია და საშიში.

დღეს გადაგვარდა ყველაფერი. სიყვარულს, რაც უნდა თავისუფალი იყოს, მალვა თუ არა აქვს, ის კარგავს თავის ხიბლსა და პეწს. სიყვარული სექსამდე დავიდა. რუსთაველმა თავის დროზე თქვა სათქმელი სიყვარულის შესახებ. დღეს ქალიც გადაგვარდა და კაციც. ბუნების წინააღმდეგ არ უნდა წავიდეთ და ზნეობა უნდა შევინარჩუნოთ. ქართული ტრადიცია ზრდიდა ადამიანს და კარგ ჩარჩოებს უქმნიდა.





# დიანა ღურწკაია არდადეგებს საქართველოში ატარებს

მომღერალი დიანა ღურწკაია ზაფხულის არდადეგებს საქართველოში ატარებს. ის შეკვეთილში შვილთან ერთად ისვენებს.

დიანა საქართველოს ხშირად სტუმრობს, როგორც კი საშუალება მიეცემა, მაშინვე სამშობლოში ჩამოდის და ევროპულ კურორტებზე დასვენებაზე მეტად უპირატესობას საქართველოს ანიჭებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### დუბაიში ლამბორჯინით მოსეირნე შავკანიანი ინვალიდი აღმოჩნდა



ცნობილი გახდა ბრიტანელი ტურისტის ვინაობა, რომელმაც დუბაიში ლამბორჯინი ჰურაკანი იჯარით დაიქირავა და ოთხ საათში 33-ჯერ დაარღვია მოძრაობის წესები.

მოძრაობის წესების დამრღვევი 26 წლის შავკანიანი უელსელი ფარახ ჰაში აღმოჩნდა. ის ინვალიდია, ერთი ფეხი მეორეზე მოკლე აქვს, ამიტომ სამშობლოში სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი ოპელ კორსათი დადის.

ბრიტანელმა იტალიური სუპერკარი ორი დღით იქირავა, ამასთან, დღეში მანქანით სარგებლობა 560 ფუნტი სტერლინგი უჯდებოდა, თუმცა მისი იჯარა ოთხ საათზე ნაკლებ დროს გაგრძელდა. ფარახი პოლიციამ მას შემდეგ გააჩერა, რაც მან დუბაის მთავარ ქუჩაზე, შეიხ ზაიდას გზატკეცილზე 230 კილომეტრი საათში სიჩქარე განავითარა. იჯარის განმავლობაში მან 33-ჯერ დაარღვია მოძრაობის წესები, ხოლო ჯარიმების საერთო ჯამმა 46 ათას დოლარს გადააჭარბა.

აღსანიშნავია, რომ ჰაში უმუშევარია და ჯარიმის გადასახდელი თანხა არ გააჩნია. დუბაიში ის მეგობრების მოსანახულებლად ჩავიდა. ის ისევ არაბთა გაერთიანებულ ემირატებში იმყოფება და სამშობლოში ვერ ბრუნდება, ვინაიდან მისი პასპორტი მანქანების გამქირავებელი ფირმის ოფისშია, ხოლო ლამბორჯინი, რომელიც 260 ათასი ფუნტი სტერლინგი ღირს, საჯარიმო სადგომზეა გადაყვანილი.

### ახალზელანდიელი ტურისტი გოგონებს ვიდეოს ფარულად უღებდა

ახალზელანდიელი მამაკაცი, რომლის ვინაობას არ ამხელენ, საკუთარი სახლის საშხაპეში ქალებს ფარულად უღებდა ვიდეოს. პოლიციამ ის მას შემდეგ დააკავა, რაც მან ვიდეორგოლები პორნოსაიტზე გამოაქვეყნა.

ჰოკს-ბეის რეგიონის მკვიდრი, რომელიც საკუთარ აპარტამენტებს აქირავებდა, დროდადრო თავის სააბაზანოში აყენებდა ორ ფარულ კამერას. ჩამწერი მოწყობილობები შამპუნის ბოთლებში იყო შენიღბული.



2017 წლის დეკემბრიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით მისი მსხვერპლი 34 ქალბატონი გახდა. მამაკაცი სააბაზანოში კამერებს ტურისტების მიერ შხაპის მიღებამდე აყენებდა, შემდეგ კი, ეჭვი რომ არ მიეტანათ, უკანვე იღებდა.

ვიდეორგოლებს, რომლებზეც ქალები გახდისა და შხაპის მიღების მომენტში იყვნენ აღბეჭდილნი, მამაკაცი პორნოსაიტზე აქვეყნებდა. კომენტარებში ის ხშირად მოუთხრობდა გოგონების ხასიათსა და პროფესიებზე, გარდა ამისა, იკვეხნიდა, რომ ვიდეოს ფარულად იღებდა და ხელისმომწერებს კომენტარების გაკეთებისკენ მოუწოდებდა.

მიმდინარე წლის თებერვალში ახალზელანდიელი ადგილობრივმა პოლიციამ დააპატიმრა. ჩხრეკის დროს მის სახლში 219 ჩანაწერი აღმოაჩინეს. მამაკაცის თქმით, ის ამას „მწვავე შეგრძნებებისთვის“ აკეთებდა, სექსუალური ქვეტექსტის გარეშე. სასამართლოში დანაშაულის აღიარების შემდეგ მამაკაცი გირაოთი გაათავისუფლეს საბოლოო განაჩენის გამოტანამდე, საბოლოო განაჩენს კი ოქტომბერში გამოუტანენ. მაქსიმალურმა სასჯელმა, შესაძლოა, 14 წლით პატიმრობა შეადგინოს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

11 აგვისტოსთვის

აშშ დოლარი — 2.4687

ევრო — 2.8622

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1817

100 რუსული რუბლი — 3.7416

## ამინდის პროგნოზი
11 აგვისტოსთვის




## მელანია ტრამპი საზოგადოებაში ნახმარი კაბით გამოვიდა

აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მეუღლე, მელანია, ქვეყნის მეთაურის ამერიკელ ბიზნესმენებთან საქმიან სადილზე ნახმარი კაბით მივიდა.



საზეიმო მიღება ბედმინსტერში, დონალდ ტრამპის კუთვნილ გოლფ-კლუბში გაიმართა. სადილზე პირველმა ლედიმ ყვავილებიანი უმკლავებო კაბა ჩაიცვა, რომელიც 539 დოლარი ღირს. ამ კაბაში გამოწყობილი მელანია საზოგადოების წინაშე საპრეზიდენტო მიტინგზე წარდგა, რომელიც გასულ წელს ოჰაიოს შტატის ქალაქ იანგსტაუნში გაიმართა.

პრეზიდენტთან და პირველ ლედისთან ერთად მიღებას ასევე ესწრებოდა დონალდ ტრამპის ქალიშვილი მისი პირველი ქორწინებიდან, ივანკა. მას ატმისფერი ყვავილების დეკორიანი მხრებმოშიშვლებული კაბა ეცვა.

## კატა სახლში 13 წლის შემდეგ დაბრუნდა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა 13 წელი მოანდომა თავისი საყვარელი დაკარგული კატის ძებნას და საბოლოოდ მისი პოვნა შეძლო.

კატა, სახელად ბუ, 2005 წელს ინგლისის იორკშირის საგრაფოს ქალაქ ჰაროგეიტში დაიკარგა. მისმა პატრონმა ჯანეტ ადამოვიჩმა შინაური ცხოველის დაკარგვის თაობაზე განცხადება გამოაქვეყნა. კიდევ ერთი წლის განმავლობაში ის აკრავდა განცხადებებს, ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებდა რეკლამებს, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ ეს ყოველივე მიივიწყა.



13 წლის შემდეგ კი მას დაურეკეს და ჰკითხეს, კატა ხომ არ დაეკარგა. ქალს ბუ მაშინვე არ გახსენებია და უპასუხა, რომ მისი ორივე კატა სახლშია, თუმცა მცირე ხნით დაფიქრების შემდეგ მიხვდა, ვისზე იყო საუბარი.

დაკარგული კატა სახლიდან 64 კილომეტრში აღმოაჩინეს. პატრონი ამტკიცებს, რომ კატას, რომელიც ამ დროისთვის 17 წლისაა, ის ახსოვს.

## ჭიანჭველამ საიუველირო მაღაზიაში ბრილიანტი მოიპარა

საიუველირო მაღაზიაში ვიდეოზე გადაიღეს ჭიანჭველა, რომელიც ბრილიანტის მოპარვას ცდილობდა. უჩვეულო ვიდეორგოლი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.



ჭიანჭველა უპრობლემოდ მიაგორებდა მაგიდაზე ძვირფას ქვას, რომლის ზომა მნიშვნელოვნად აღემატებოდა თავად მწერის ზომას. გამოცემა არ აზუსტებს, კონკრეტულად რა მოხდა ვიდეორგოლის დასრულების შემდეგ და მოხერხდა თუ არა ჭიანჭველის მიერ გატაცებული ბრილიანტის ადგილზე დაბრუნება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

რჩევა მამაკაცებს:

– თუ ლამაზ მეზობელ ქალბატონთან მარილის სათხოვნელად მიდიხართ, შამპანურისა და შოკოლადის გაყოლებაც არ დაგავიწყდეთ.

●●●

ცოლ-ქმარი ექიმთან მიღებაზე. ქმარი ეკითხება:

– ექიმო, როდესაც ჩემს ცოლთან სექსი მაქვს, ხან მცივა, ხან მცხელა და რისი ბრალია?

– საკვირველია! და რას გვეტყვის თქვენი მეუღლე?

ცოლი პასუხობს:

– რა არის გასაკვირი, თუ მას მთელი წლის განმავლობაში ჩემთან სექსი ერთხელ იანვარში აქვს და მეორედ – ივლისში!

●●●

მამა დედაქალაქში სასწავლებლად მიმავალ შვილს არიგებს:

– შვილო, ქალაქში ქალებს ძალიანაც ნუ გადაჰყვები.

– რას ამბობ, მამი, ეგ როგორ შეიძლება!

– როგორ შეიძლება, გუშინ აგიხსენი, მაგრამ მაინც ეცადე, ძალიან არ გადაჰყვე.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენ ბუ ხარ თუ ტოროლა?

– თუ ჩემი ცხოვრების რიტმით ვიმსჯელებთ, ზომბი ვარ!

●●●

მასწავლებელი ცუდ ხასიათზეა და უნდა, მთელი თავისი ჯავრი ვინმეზე იყაროს. ეკითხება პირველ მოსწავლეს:

– ლევან, აბა დამისახელე ორნიშნა რიცხვი.

– 87.

– და რატომ 78 არა? დაეგდე, ორიანი.

– ნინო, შენ მითხარი ორნიშნა რიცხვი.

– 56.

– და რატომ 65 არა? დაეგდე, ორიანი.

– აბა, სეროჟ, შენ დამისახელე ორნიშნა რიცხვი.

– 33.

– და რატომ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით




## ლიონელ მესი ბარსელონის კაპიტანი გახდა



ბარსელონის კაპიტანი მომავალ სეზონში ლიონელ მესი იქნება.

ანდრეს ინიესტას წასვლის შემდეგ მესი ავტომატურად გუნდის კაპიტანი უნდა გამხდარიყო, რადგან მანამდე ის ვიცეკაპიტანი იყო.

მესის თქმით, ბარსელონის კაპიტნობა მისთვის დიდი პატივია და შეეცდება, ღირსეული კაპიტანი იყოს.

მესის არყოფნის შემთხვევაში ბარსელონას სერხიო ბუსკეტსი უკაპიტნებს, ხოლო მესამე კაპიტანი ჟერარ პიკე იქნება.

ბარსელონა სეზონის პირველ შეხვედრას 12 აგვისტოს სევილიის წინააღმდეგ ჩაატარებს.

## ედენ აზარი რეალში არ გადავა



ლონდონის ჩელსის ლიდერი ედენ აზარი რეალში არ გადავა და, სავარაუდოდ, ჩელსიში დარჩება. რეალი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა აზარის გადაბირებას, მაგრამ ჩელსიმ აზარის გაყიდვაზე კატეგორიული უარი განაცხადა. აზარის ტრანსფერში ჩელსი მინიმუმ 200 მილიონ ევროს ითხოვდა და მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიწყებდა ჩელსი რეალთან მოლაპარაკებას.

თავად აზარს სურდა რეალში გადასვლა, რაც არ დამალა ერთ-ერთ ინტერვიუში, მაგრამ ეს ტრანსფერი მაინც არ შედგა.

## ტოტენჰემმა ზაფხულში არც ერთი ტრანსფერი არ განახორციელა



ტოტენჰემი პრემიერ ლიგის ისტორიაში გახდა პირველი გუნდი, რომელმაც ზაფხულის განმავლობაში არც ერთი ტრანსფერი არ განახორციელა.

ტოტენჰემის მწვრთნელმა მაურისიო პოჩეტინომ ამის შესახებ ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს გაძლიერება არ სჭირდება და მთავარი იყო ლიდერების შენარჩუნება:

– ვფიქრობ, ზაფხულში კარგად ვიმუშავეთ, რადგან გუნდიდან არც ერთი ლიდერი არ წავიდა, ტრანსფერებს კი მომავალში განვახორციელებთ. ტოტენჰემი ისევ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

## ჟოზე მოურინიო: „პოგბა მანჩესტერში ბედნიერია“



მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ პოლ პოგბაზე ისაუბრა და თქვა, რომ ფრანგი ფეხბურთელი მანჩესტერში ბედნიერია და არსად წასვლას არ აპირებს. მოურინიოს თქმით, ყველა ჭორი პრესის მოგონილია.

– პოლ პოგბა ჩვენი ფეხბურთელია და აქტიურად მუშაობს ვარჯიშებზე. პოგბა ბედნიერია და სხვა გუნდში გადასვლას არ აპირებს. ყველა ჭორი მოგონილია და სიმართლეს არ შეესაბამება, – განაცხადა მოურინიომ.

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პოლ პოგბა ბარსელონის ფეხბურთელი უნდა გამხდარიყო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 2. ბულგარეთის პირველი დედაქალაქი; 4. გამჭვირვალე, მქრქალი ფაიფური; 5. ძველი გერმანული იმპერია; 6. ფუტკრის სკის შავი ფერის ცვილი; 7. კლიმატური კურორტი თბილისის მახლობლად; 10. ქიმიური ელემენტი, უფერო, უსუნო აირი; 12. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 13. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 16. ზღვრული ნორმა; 17. მძლავრი ინტენსიური გამოსხივების კოსმოსური სხეული; 18. დათქმული საიდუმლო, სიტყვა, ფრაზა; 19. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში.

**თარაზულად:** 3. ისტორიული მოედანი ლონდონში; 8. სქელი, ტყავისებრფოთლებიანი ოთახის მარადმწვანე მცენარე; 9. ცოდვების მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 11. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 14. „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად მთარგმნელი და გამომცემელი; 12. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 15. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში; 20. გველის მსგავსი ქვეწარმავალი; 22. ცხვრის ფარის მცველი დიდი ქოფაკი; 23. ფრანგი მხატვარი, იმპრესიონიზმის ფუძემდებელი; 24. თეთრყურძნოვანი ვაზის გერმანული ჯიში; 25. სუბტროპიკული ხილი; 26. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 27. წარწერა კინოფირის კადრზე.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

